

၁၆၁ၬ ဖ ၁၅၂၀.



სოციალიზმ-თელერალიზმი

საქართველოში.

გ ა რ ი 20 კ ა 3.

“თემის” გამოცემა



თ ბ რ ი ს 0.

სტამბა „გურენბერგი“ კუთხე ღლებისა და სლეპლოვის ქუჩა.
1907 წ.

329-24 (47-233)

ՅԱՌԱՅՈՒԹՅԱՆ
ՑՈՒՑԱԳՐԱԿԱՆՈՒՅՆ

Տ Ա Խ Բ Ի Ց Ս

- տացո I. Տանօգագոյն պահաժամները.
" II. Տուրալուսիւր-ցըդըրալուսիւրեն գամուսըլու.
" III. Յորչելու նախայենքու.
" IV. "Մյջունակու" և մուսու թիվամիսու.
" V. Գոլուստուսիւրու և Տուրալուսիւրու
" գոմինալու.
" VI. Յարտուսը Յորշրամուս Յորչելու Յորյէյտու.
" VII. Յորշրամա "մոնոմումու" և Յորշրամա
" մայսոմումու.
" VIII. Յարտուսը Յորշրամուս մյուրայ Յորյէյտու.
" IX. Մորմուս որշանոնչապուս ցեցուն.



ან მეტი ის მისა თბილი და სიცი ის მისა არა
 არა მიცოდება თავი თავი თავი თავი თავი

თავი I.

ცეცხლი თავი თავი თავი თავი თავი თავი თავი

საზოგადოებრივი უილაფობა.

ამ საუკუნის დასაწყისში საქართველოში ღირ-
 სების შემლახავი ამბავი მოხდა. ქართველმა თავად-
 აზნაურობამ დღესასწაული გააჩალა საქართველოს
 ასის წლის დამონების გამო. დღიდის ამბით და ზე-
 მით გამართეს „იუბილეი“ და მონურ გრძნობებით
 აღსავსე სიტყვებში ამცნეს რუსეთის თვითმკურო-
 ბელს, რომ საქართველო ბედნიერია, ქართველი
 ხალხი ყოველის მხრივ კმაყოფილია და რომ ერთ-
 გულების ნიშნად ქართველი თავად-აზნაურობა მზად
 არის თავი შესწიროს რუსეთის ტახტის და სამეფოს
 დღეგრძელობასათ. ეს იყო საზოგადო მეჯლისი
 ქართველ ხალხის და ქართულ ეროვნების შემლა-
 ხველი, ეს იყო ხანა მტარვალის წინაშე ლაქუპი-
 სა, ეს იყო მემკვიდრეობითის „ლალატის“ გამომ-
 ჯდავნება, იმ ლალატისა, რომელიც თითქოს თან
 შეზღილი აქვთ ჩვენებურ „დიდებულებს“ და „ბო-
 ბოლა თავადებს“.

ამ სამარტვენო დღესასწაულების დღეებში
 თბილისში გამოსცეს გექტოგრაფიული პროკლამა-
 ციები და ეს პროკლამაციები მოსდეს მთელ საქარ-
 თველოს. პროკლამაციას ხელს აწერდა კომიტეტი
 „ქართველ ნაციონალ-დემოკრატებისა“, სულ გა-

թուշա ռոես Յհովլամացրա; ամ Յհովլամացրոյքն
Յհովլեսրո ոյո զամոյիսագեցիլո ոյնոլցու ոնու
պոարորտա წոնաալմդըց. Յհովլեսրո ոյո ացրետաց
թուշրոծու դա օմու Յովլուրոյու წոնաալմդըցաւ. Տա-
նցագուածու յո Յհովլամացրոյքու Ռոնաարու
եասուտու ոյո. Թաս՛ո Յկողցեցւու թոյքարաս, եռլու
թոյքարաս յովլուրս, հյալուր մալոս թոյլեցիլուր,
Թաս՛ո ոյո եալուս գահացրասա դա յհովցեցու ցա-
տաեսուրեցանց հովոլո, եռլու ամ Յհովլամացրոյքն
արսագ սիանճա ցանսանցը Յհովցրամա, արս սիան-
ճա ու, տա զուսնցը, եալուս հոմել յլումենքըց-
նց ամպարեցդա տացու օմբուցն ալնունցը յոմուրց-
րո նապոնալ-դյմոյրարեցնուսա.

ոմ եանցեցնուց ամ նապոնալ-դյմոյրարեցնա յրց-
ծա մոաեցոնց տուոլուս՛ո. Տեցա դա Տեցա յուտենօնան
մոցու ռհմուցա եստ յալամդէ. յենո ոյցնեն յահ-
տացը ոն բարելոցն յրցն. Թատ՛ո Սուուուուսրեցնու-
յրուցնեն արս Թարյասուրուլ մոմարտուլցուսա. եռլու
յոմհացլցունուս տցալ՛ո յո Սուուուունու յութո յցը-
նցն յունուտու ոյո ցահենուլո; Տայարտուցը տցուս ոցու
նաալրեց եուլագ մոահնճատ. ամ յրցնու ցունունումուս
հոմ დաչյուրուցն յրցուու, ա՛մյարագ դանաեացնու, հոմ
մուս յոմտացրեսո ցուցն յհովցնուլ եասուտու ցու-
ցն ոյո. դյմոյրարեցն, հասայցուրուցը ու, թոյքա-
տա սայուտու սիամդատ, ուսոնո ցարտու յյոնոմույր հյու-
ցուրմեցնու մոմերյենո ոյցնեն, Թագրամ մատս տցալ՛ո
թոյքատա սայուտու սցը-ծցու դա յյոնոմույր լիով-



რების მოთხოვნანი ექვემდებარებოდნენ მთავრობის მოთხოვნას — ეროვნულ რეფორმას, ეროვნულ ვინაობის დაცვას და განვითარების საჭიროებას.

კრების „რევოლუციონიზმი“ იმაში გამოიხახა, რომ გადაწყვეტილ იქნა: მთავრობას მუდმივი პროცესტი უნდა გამოუტხადოთ და ჩვენი პროტესტი ჯერ-ჯერობით პროკლამაციების და არა ლეგალურ ორგანოს გამოცემაში გამოესახოთო. სხვა გვარ პროცესტის გამოტხადების სარგებლობა უკუგდებულ იქნა იმ მოსაზრებით, რომ მსხვერპლი ბევრი იქნება, ნაყოფი კი არავითარიო.

კრებამ აირჩია კომიტეტი. კომიტეტი სცემდა პროკლამაციებს და თანაც არა — ლეგალურ ორგანოს დაარსებისათვის სამზადისს შეუდგა. კომიტეტმა განიზრახა საქართველოს უფელა კუთხეში აგენტების გაგზავნა და მათ დაავალა შესწავლა იმისი, თუ რა გვარი მოთხოვნანი და საჭიროებანი მომწიფებულიყვნენ ჩვენს ხალხში, რა ხასიათისა იყო ხალხის პოლიტიკური და სოციალური მისწრაფება.

ამგვარ დაკვირვების და მასალის შეგროვების შემდეგ კომიტეტს უნდა განემარტა ის, თუ რა საკითხების წამოყენება იყო საჭირო განზრახულ ქართულ თავისუფალ ორგანოში. საქმე ასედაც მოხდა. გამოირკვდა, რომ მუშათა წრეების და ინტელიგენტთა დაქსაქსულ ჯგუფებს გარედ, ჩვენის ხაზოგადოების არც ერთ ჯგუფს და არც ერთ წრეს არა ჰქონდა გამოსახული საზოგადოებრივი იდეა-

ლი, არა პქონდა გამორკვეული არამც თუ ის, თუ რაგვარი სოციალური პროცესი პხდებოდა ჩვენის ხალხის ცხოვრების სიღრმეში, არამედ არც ის პქონდა გამორკვეული, თუ რა პოლიტიკურ ეფოლიურია განიცდის რუსეთი და ამ ევროლიურის მსელელობაში რა ადგილი უნდა დაეჭირა საქართველოს.

საოცარი საქმე! საქართველომ მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ბევრი მწარე დღი განიცადა. დღიდან შეერთებისა რუსეთთან ქართველ ხალხში განუწყვეტელი მოძრაობა იყო ხან პოლიტიკურ, ხან სოციალურ, ხან ეკლესიურის ხასიათისა და განა გასაშტერებელი ამბავი არ ირის, რომ მე-XIX საუკუნის მიწურულებში ხალხის ზედა სართულში—ჩვენს „საზოგადოებაში“ ამ განუწყვეტელ მოძრაობის კვალის ნატამალიც იღმოფხვდილი იყო. არავითარი კავშირი წარსულთან, არავითარი ოცნება პოლიტიკურ დამოუკიდებლობის გამო, არავითარი გარკვეული აზრი მიწის საკითხის მოწესრიგების და მატერიალურ მდგომარეობის ელორძი. ნების შესახებ! ყველგან გოზება, უილაჯობა, წარსულის მივიწყება! და ეგ წარსული კი მღელვარე და ტანჯული იყო! ჩვენ აქ ისტორიული ძველი წარსული კი არა გდაქვს სახეში, არამედ ის, რაც მეცხრამეტე საუკუნეში თავს გადაგვწყდა და რაც ჩვენს ძარღვებია და ხორცი გადაწვნული უნდა ყოფილიყო. გავიხსენოთ ზოგიერთი ამბავი?



1805 წელს აჯანყდა მთიულეთი. აჯანყების ჩასაქრობად რუსეთის მთავრობამ თ-დ შანშე ერის სთავის მეთაურობით ექსპედიცია გაგზავნა. ერის-თავს მემბოხეთ უთხრეს: მთავრობამ უკიდურესობამდე შეგვავიწროვა, უზომო გადასახადი და ბე-გარა დიგვაკისრა; ვეღარ ვუძლებთ და გადავწყვი-ტეთ საქართველოში არც ერთი რუსი აღარ შემო-უშვათო. აჯანყება მთავრობის გაწვრთნილმა ჯარ-მა დაამხო. 4 აპრილს 1805 წ. ბატონიშვილები იულონი და ფარნაოზი რუსეთში დაჰკარგეს. 70 კაცი სამართალში მისცეს¹⁾.

გაეიდა რამდენიმე წელიწადი. ხალხი კვლავ გმინავდა. იმ ხანებში ორი წლის განმავლობაში პურის მოსავალი არ მოვიდა, ხალხს ჯარი უნდა ერჩინა, თვითონ კი პური არა ჰქონდა. სოფლებ-ში ეკზეკუციები ჩაიყენეს, ძალით ართმევდნენ დამ-შეულებს დღის საზრდოს. ამ ნიადაგზე 1812 წ. კახეთში უკმაყოფილება იმ ზომამდე გაძლიერდა, რომ მალე იგი აშენია აჯანყებაში გამოისახა. და-ერივნენ კახეთში მდგარ რუსის ჯარს, გასწყვიტეს იგი და, მარკიზ პაულუჩის სიტყვით, საფრანგეთის რევოლუციის მსგავსი სისახტიკე გამოიჩინეს. გა-დავიდნენ ანანურში, ციხე დაიპყრეს და იქ მთიუ-

1) აქ და ქვემოთ ვსარგებლობთ ივ. ჯავახიშვილის წილ გნაკით: „Политическое и социальное движение въ Грузии въ XIX в.“.



ლებს უნდა შეერთებოდნენ. მეორეს მხრივ სპარ-
სელებიც უნდა შემოსულიყვნენ ბატონიშვილ ალე-
ქანდრეს ხელმძღვანელობით. მოძრაობა ქართლ-
შიაც გადავიდა. მთევარ-მართებელი მარკიზ პაუ-
ლუჩი ძლიერ ემუქრებოდა მეამბოხეთ: ღმერთი და
ფიცი დაგვიწყდათ, რუს მეფეს რათ ლალატობთო.
მწიგნობრობაში დახელოვნებულნი არა ვართ, უპა-
სუხეს მას; ვერ გავვიგია თქვენი მოწერილობა,
ჯვარს და ხელმწიფეს არ ვლალატობთ, თქვენ კი
არ აასრულეთ, რაც მეფემ დამტკიცაო...
ეს ამბოხებაც ჩააქრეს.

აღმოსავლეთი საქართველო ბრძოლით და ვაკ-
ბით მოღლილი დროებით თითქოს მიყუჩდა. ახლა
დასავლეთზე მიდგა ჯერი. უკმაყოფილების და მო-
ძრაობის მიზეზი ეგზარხოსი ფეოფილაქტი გამოვი-
და. 1811 წ. ხომ უკანონოდ, უქაზის ძალით, გაა-
უქმდეს ქართულ ეკლესიის ავტოკეფალობა. ამ დრო-
იდან დაუწყეს დევნი ეკლესიასაც. სიონის ეკლე-
სიაში ეგზარხოსმა ფეოფილაქტმა ქართული ენა
განდევნა (კვირაში მხოლოდ სიმი დღე დაუთმო
ქართულ წირვა-ლოცვას). ამ გვარი საქმე ჩიიდინა
იმერეთშიაც, მაგრამ იქ წინააღმდეგობა გაუწიეს
გელათის და ქუთაისის მიტროპოლიტებმა. მიტრო-
პოლიტები შეიპყრეს. სკემეს, ძალით შესვეს ცხე-
ნებზედ და რუსეთში გაამგზავრეს. ხალხი იღმფოთ-
ლა 1819 წ. თავად-აზნაურობამ, სამღვდელოებამ
და ხალხმა მდინარე რიონის ნაპრას მოიყარა თა-



ვი და იქ გადასწუვიტეს რუსების გაწყვეტა და სა-
კუთარ მეფის არჩევა. ამბოხება დამხეს. მაგრამ
აღმოსავლეთი საქართველო ისევ შეიოთავდა.

1830 წელს რუსეთს პოლონეთი აუჯანყდა. ამ
აჯანყებამ საქართველოს თავიდ-აზნაურობაც ააღმ-
ლვა. 1832 წელს თბილისში თავიდ-აზნაურობის
კრება უნდა მომხდარიყო. აქ მეჯლიში უნდა გაი-
მართა, დაეპატიუნათ რუსის მოხელენი და უველა-
ნი ამოეხოცნათ. აქედან უნდა დაწყებულიყო საერ-
თო აჯანყება. მაგრამ ვერ მოახერხეს. ხალხი თა-
ვადებს არ გაძყვა, იმათ კი თავიანთ ძალ-ლონით
ვერა გააწყვეს რა. საჭმე ის არის, რომ ამ დროს ქარ-
თველ გლეხობაში ბატონ-ყმობის წინააღმდეგ დაი-
წყო მოძრაობა. გენ.—ილიატანტი სტრეკალოვ-
ზავილეისკი თავის მოხსენებაში ამბობს: გლეხკაცე-
ბი მტრულად ეკიდებიან მემამულეებს, ხშირად
მორჩილებაზე ჟარს ეუბნებიან. მთავრობა ამ
შემთხვევაში უფრო გლეხობის მხარეზე იყო და
თავადების შეთქმულობაც ამისთვის უდღეო გა-
მოდგა. მაგრამ, როდესაც თავადების მხრივ საფ-
რთხე აღიარ მოელოდა, ისევ ხალხს მუხრუჭი წაუ-
კირა. ამ ხანაში შემოიღეს საიმპერიო კანონები და
რუს-მოხელეთა მოქმედება, სწერდა ბარონი რო-
ზენი, მოწერილობაში გამოიხატებოდა. უმაღლესს
ინსტანციიდან მოყოლებული უბრალო პოლიციე-
ლებამდე უველანი მიწერ-მოწერაში იყვნენ და ერთ-
მანეთს ფორმალურ ქალალდებს უგზავნიდნენო.



კოველივე პეტერბურგის კანცელარიებს დაუზევე-
მდებარეს. პუბლიკაციებსაც კი მარტო „С.-Пе-
тербургскія Вѣд.“-ში პბეჭდავლნენ. ყველა ამის
შედეგი ამბოხება იყო. ამავე დროს მღელვარებ-
ლნენ თხები, ბელაქანელები და სხვანი.

დადგა 1856 წელიწადი. ეს ხანა იმითაა სა-
ყურადღებო, რომ ამ დროს სამეგრელოში იფეთქ-
ძლიერმა აგრარულმა მოძრაობამ. თავად-აზნაურობა
არღვევდა ქართულ ადაოგებს მიწის და ტყის სარგებ-
ლობის საქმეში. ურცხვად ავიწროვებდა და ღლე-
ტავდა გლეხობას სამეგრელოს მთავრის მოურავი
თ-დი ჩიქოვანი... გლეხთა მოძრაობას თავში ამო-
უდგნენ კოჩა-თოდუა, მართალი-თოდუა და მიქავა.
გლეხები ადამიანობას ითხოვდნენ, ნუ გვწირავთ,
ბორკილებს ნუ გვიყრით, და ქართულ ადაოს ნუ
დაარღვევთო. მოძრაობის ჩასაქრობად სამეგრელოს
მთავრინამ რუსეთის მთავრობას მიჰმართა. მთავრო-
ბამ გაგზავნა ქუთაისის გუბერნატორი კალებიაკი-
ნი. ამ უკანასკნელის მეცადინებით სამეგრელომ
ავტონომიური უფლებები დაჲკარგა.

1878 წელს კახეთი ხელახლად მღელვარებდა.
ამ დროს რუსეთ-ოსმალეთის ომი იყო. მთავრობას
სკირდებოდა ჯარი. სილნალის მაზრაში მიღიცა
უნდა შეედგინათ. ხალხი წინ აღწევდგა მთავრობის
სურვილს და თოფ-იარალით უნდა დახვედროდა
მთავრობის მოხელეთ. გენ. ორბელიანის მეცადი-
ნებით ხალხი, როგორც იყო, დაშოშმინეს. 9

კაცი და 2 დედაქაცი, მეთაურები, 45 წლით ციმ-
ბირში დაჰყარგეს.

ამ. ფაქტების აღნუსხვაც საკმარისია. აშკარაა,
ჩვენი ხალხი იბრძოდა მძიმე ულლის კისრიდან გა-
დასაგდებად. აშკარაა ისიც, რომ მაღალ წოდება-
შიც არ იყო დახშული პოლიტიკურ დამოუკიდე-
ბლობის აზრი. თუმცა ეჭვს გარეშეა ისიც, რომ
მას კლასიური ინტერესი ამოძრავებდა, ვიდრე ქვე-
ყნის კეთილდღეობა; ხოლო დამოუკიდებლობის
მოპოვებისათვის ბრძოლაში ზოგიერთ შემთხვევაში
ხალხიც აძლევდა მას მხარს, რადგან ხალხს იმ თა-
ვითვე სოციალურ დამონებასთან ერთად პოლიტი-
კური დამონებაც სულს უხუთავდა.

მეცხრამეტე საუკუნის პოლიტიკურ და სოცი-
ალურ ისტორიის დასაწერად ჯერ ხნიბით საკმაო
მასალა არ არის გამოქვეყნებული. ბ-ნ ივ. ჯავახი-
შვილის წიგნით ამ ისტორიის კონსპექტია მხო-
ლოდ. ალ. ფრონელმა გამოიკვლია მთიულეონის
ამბოხების ამბავი (1805) და ამ მოკლე ბანში ვახ-
თის აჯანყების (1812) მონოგრაფია გამოაქვეყნა.
დანარჩენი ეპოქები თავიანთ მკვლევარებს მოელიან.
ასე რომ ჯერ-ჯერობით დაწვრილებით აზრს ვერ
ვიქონიებთ ამ სავნის შესახებ. ხოლო ისიც, რაც
ხელთა გვაქვს, გვიჩვენებს, რომ დღევანდელი მო-
ძრაობა და რევოლუცია წარსულთან გადაბმულია,
რომ იგია მწყობრი, ფართო და შეგნებული სის-

ტემატიზაცია წარსულში მომხდარ ამბოხებისა, შფო-
თისა და მღელვარებისა.

ყველა ეს ასეა, მაგრამ რა მიზეზია, რომ მე-
თხმოცე წლიდან მოყოლებული პოლიტიკური
და სოციალური მოძრაობა თითქოს სრულიად მი-
უსწოდა? უკეთ ვსთქვათ, რა მიზეზია, რომ ჩვენს „სა-
ზოგადოებაში“ სრულიად დაიხშო მოძრაობის კვა-
ლი? ჩვენს მწერლობაში პატრიოტულ ჰანგებზე უღ-
რა არ შეწყვეტილა. ხოლო მასში და არც მის გარედ
აღარ ჩანს პოლიტიკურ მისწრაფების ნასახიც კი.

ომიანობიდან მოყოლებული (1877—1878 წ.),
მხოლოდ სამი ფაქტია აღსანუსხავი, სამი ამბავი
მოხდა, რომელიც უოტათ მაინც ორლევვდა სამარი-
სებურ სიჩუმეს, რომელიც ჩვენს „საზოგადოების“
არე-მარეს მოედო. ქართველ „პატრიოტებს“ რუს-
ოსმალთა შეტაკების დროს იმედი მოეცათ: განა-
თლებული ევროპა დაგვეხმარება და საქართველოს
გაანთვისულებსო, ჰიტიქობდნენ ისინი. ამ გან-
ზრახვით ინგლისში აგენტიც უნდა წასულიყო და
იქ მოემზადებინა ნიადაგი ინგლისელების დესანტის
საქმისთვის საქართველოში... მაგრამ ოცნება ვერ
განხორციელდა.

ეგ ფაქტი ჯერ სრულიად გამოურკვეველია,
„პატრიოტებს“ არავითარი დოკუმენტი, არავითარი
მასალა არ დაუტოვებიათ. რასაც ვამბობთ, სხვის
ნათქვამს ვიმეორებთ. კარგი იქნება, რომ ამბის გა-
რემოება დაწვრილებით დაწერილიყო. ასეა თუ ისე,

აშეარაა ერთი რამ: „პატრიოტების“ მოქმედებას ვიწრო ფარგალი ჰქონდა. ხალხთან და საზოგადოების ფართო წრეებთან მ.თ არავითარი კავშირი არა ჰქონდათ.

მეორე და მესამე ფაქტი, რომელიც სახეში გვაქვს, დიმიტრი ყიფიანის და ეპისკოპოს გაბრიელის წერილებია კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისადმი. ამ წერილებში ივტორები ქართულ ეროვნების, ქართულ ენას იცავდნენ. მართალია, ორივე წერილი მონარქიისადმი ერთგულებით არის გამსჭვალული, მართალია ისიც, რომ ეპისკოპოზი გაბრიელი ქართულ სამრევლო სკოლებს იცავდა და ამასთან ამბობდა, რომ ეგ სკოლები „ლიბერალიზმის“ და „ურწმუნოების“ გავრცელების წინააღმდეგ ფარხმალიაო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იმ დროის ვითარებას რო დავაკეირდეთ, დიმიტრი ყიფიანმაც და ეპის. გაბრიელმაც მოქალაქობრივი გამბედაობა გამოიჩინეს და ხმა მაღლა დაპგმეს რუსიფიკაციის პოლიტიკა.

მაგრამ... აქაც განცალკევებულ მოვლენასთან გვაქვს საქმე. გაბედულ კაცების ზურგს იქით არავინ არ იყო: არც ლეგალური პრესა, რომელსაც ჯალიათი ედგა თავზედ, არც არა-ლეგალური, რომლის დაარსებას არავინ ფიქრობდა, აღბად იმიტომ, რომ საზოგადოებრივ დახმარების იმედი არ იყო. ისევ საზღვარ-გარედ, ინგლისურ პრესსაში თუ იწერებოდა რაიმე საქართველოს პოლიტიკურ



იმედების გაცრუების გამო და ისიც იწერებოდა
განმარტოვებულ და გარიფულ ემიგრანტ ვარლამ
ჩერქეზიშვილის მიერ! ამ რიგად სანამ საქართვე
ლოში რევოლუციონური მოძრაობა დაიწყებოდა,
ჩეგნი „საზოგადოება“ მკვდარი, უსიცოცხლო და
იმედ დაკარგული იყო.

თავი II.

სოერალისც-ფედერალისცების გამოსვლა.

ჩეენა ვქოვით, რომ მუშათა წრეებში ამ გვარ
გამოურკვევლობას არა ჰქონდა ადგილი, მაგრამ
საქმე ის არის, რომ ამ წრეებში გაბატონებული
იყო **ერთვარი** კასმოპოლიტური მიმართულება,
რომელსაც ნორმალურ ინტერნაციონალიზმის
ხასიათი არა ჰქონდა. ინტერნაციონალიზმი ერს
არა სპობს. აქ კი თითქოს ამაყობდნენ ერთ-
ვარი აზრის უქონლობით. ეს იყო ნიმუში დამა-
ხინჯებულ „იდეალიზმით“ გატაციბისა. ეს იყო
რაღაც გაუგებარი „თავგანწირულება“, სულიერ
და პოლიტიკურ მოუმწიფლობის მაჩვენებელი.
ხოლო რაც შეეხება სოციალურ საკითხებს, იქ
მარქსისტულ დოგმას ჰქონდა ფესვი მოკიდებუ-
ლი. ასეა თუ ისე, კომიტეტმა იმ თავითვე შეიგნო,
რომ ამ მშრომელ ხალხის ინტერესების დაცვა იმ
ბაზისად უნდა გამხდარიყო, რომელზედაც პოლი-
ტიკურ ორგანოს პროგრამა უნდა დამყარებული-
ყო.

ამ გვარ პოლიტიკურ გამოკვლევა-გამოძიებას შემდეგ კომიტეტი შეუდგა თვით პროგრამის შემუშავებასაც. საქმე ადვილი არ იყო. დასაწყისშივე აღმოჩნდა, რომ პროგრამის შემდგენელი, წარმოების გარეშე მდგარნი, მეტარმოებელთა თანაგრძნობას იყვნენ მოკლებულნი. კომიტეტის წევრების (ერთის ნაწილის მაინც) სული და გული მუშებისაკენ იყო, მაგრამ მუშები მათ ზურგს უჩევნებდნენ. მუშებს უკვე ჰყავდათ ხელმძღვანელები, სოციალ-დემოკრატები და სხვებს ახლოც არ ეკარებოდნენ. მართალია, არც ამ ხელმძღვანელებს ჰქონდათ რაიმე კავშირი წარმოებასთან—ესენიც გარედან მოხული ხალხი იყო,— მაგრამ ესენი დაუიხლოვდნენ მუშებს იმ ხანში, როდესაც მუშებს ჯერ კიდევ იკლდათ „გამოცდილება“, როდესაც „პოლიტიკურ სოციალიზმის“ შეტანა მუშათა წრეებში ძნელი საქმე არ იყო.

რაიც შეეხდა „საზოგადოებასთან“ კავშირს, ქართული საზოგადოება ხომ უნუგეშო სურათს წარმოადგენდა ამ დროში. „პატრიოტებს“ ეკითხებოდნენ, გვითხარით ოქვენი წილი, დაგვანახვეთ ოქვენი პოლიტიკური იდეალი, გვაჩვენეთ, რა გზით შეიძლება საქართველოს, ქართველ ხალხის ხსნა? ამაზედ იყო ხოლმე ამნირი პასუხი. „ეჭ, რა ვართ, რა შეგვიძლიან, ლარიბი ხალხი ვართ, სომხები გვკამენ, მთავრობაც ლოდისავით გვაწვება; სომხები და მთავრობა—ორივე ჩვენი მტერია, მაგ-

რამ ამ ორ მტერში მთავრობა გვირჩევნია. გაზე-
 თის გამოცემას თუ აპირებთ, დაჰმეთ კავკასიის
 აღმინისტრაცია, გაჰკიცეთ მისი ბორიტი მოქმე-
 დებანი, მაგრამ არამარტო და არამც აფად არ ახსე-
 ნოთ მეფე, არ შეეხოთ რუსეთის თვით-მპყრობე-
 ლობას!...“ არ დაიჯერებთ, ასე ლაპარაკობდა
 საქართველოს ერთი „ბურჯთაგანი“ — აღამიანი,
 რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ფიქრსა და
 ნაღველს შეალია საქართველოს თავგადასავალის
 გამო. მეორენი „ნაციმბირალნი“, „ნარალიკალნი“
 გაჯავრებულად ამბობდნენ: „აბა რა უნდა და-
 სწეროთ მაგ თქვენ თავისუფალ ორგანოში! ენა,
 ეკლესია, დევნა!.. უკელა ამას ორ სამ ნომერში
 იტყვით, მერე რაღა გექნებათ სათქმელი?“ მესამენი,
 „გაბედულ“ განზრახვით შეშინებულ გაფითრებულნი,
 ხმის კანკალით ლაქლაქებდნენ: „გადაგვასახლებენ,
 მოგვსპობენ, რაც დაგვჩენია, იმასაც წაგვარომე-
 ვენ! ჩუმიდ ვიყვეთ, აი მარშალი წავა პეტერბურგს,
 დასაბუთებული ქალალდები მიაქვს, ყველაფერს
 გაგვირიგებსო...“

შართალია, საცოდავად დაბეჩივებულ და სულით
 გაღატაკებულ ამ წრეების გარედ იყვნენ იმისთანა
 აგუფებიც, რომელნიც გულწრფელად იყვნენ
 ჩიფიქრებულნი ქართველ ხალხის უნუგეშო მდგო-
 მარების გამო, მაგრამ იქაც არაეისა პეტონდა
 გამორკვეული პოლიტიკური იდეალი, იქაც არა-
 ვინ იცოდა, თუ რა ესაჭიროება ჩვენ ხალხს:

ერობა, ავტონომია თუ პოლიტიკური განცალ-
 კევება. ეკონომიურ საკითხების წინაშე ხომ იქაც,
 როგორც სხვაგან, უნუგეშო სასოწარკვეთილება
 სუფევდა. „დასელები“ შუღლს და მტრობას სთა-
 სენ წოდებათა შორის და ეს ხომ საქართველოს
 დაპლუაციას. „ქართველობა“ სოლიდარობით უნდა
 იყოს გამსჭვალული და კლასთა ბრძოლის ქადაგე-
 ბას არ უნდა ჰქონდეს ჩვენში აღვილით.

ამ „ანკეტის“ შემდეგ განსაზღვრული პოლიტი-
 კური გეგმა გამოირკვა. საქირო იყო თვითმკურო-
 ბელობის მოსპობა და იმის ადგილზე დემოკრა-
 ტიულ კონსტიტუციის დამყარება. საქირო იყო
 ამ კონსტიტუციის დეცენტრალიზაცია. საქართვე-
 ლოს ავტონომია უნდა მისცემოდა, ხოლო კავკა-
 სიას ფედერაცია. ქართული ავტონომიური პარლა-
 მენტი დემოკრატიის განტბყოცების იარაღად უნდა
 გამხდარიყო. „კომიტეტის“ სოციალისტ-წევრებს
 სწამდათ, რომ დემოკრატიული რეფიმი აუცილე-
 ბელი საფეხურია სოციალიზმის დამყარებისათვის.
 ხალხი საყოველთაო არჩევნის უფლების საშუალე-
 ბით პოლიტიკურ ქალას მოიპოვებდა ავტონომიურ
 პარლამენტში და ამ გზით ჯერ თავის მინიმალურ
 მოთხოვნათა დაკმაყოფილებდა და შემდეგ იმისა
 განახორციელებდა თავის იდეალს, სოციალიზმსო.
 ეს იყო სოციალ-დემოკრატიული აზროვნება,
 ეს იყო სოციალიზმი დემოკრატიულ ნიადაგზე
 აღმოცენებული და დემოკრატიზმის საფუძველ-

ზე დამყარებული. ამგვარი აზრები კომიტეტის
 უმრავლესობამ თანდათან მიითვისა. ასე რომ კომი-
 ტეტი სოციალ-დემოკრატებისაგან მხოლოდ იმით
 განიჩეოდა, რომ არა სწამდა პოლიტიკური ცენ-
 ტრალიზაცია, არა სწამდა აგრეთვე პოლეტიკიზა-
 ციისა და კონცენტრაციის დოქტორი. ამასთან ერთად
 არა სწამდა დიალექტური პროცესი ისტორიის
 განვითარებისა, და ამიტომაც კომიტეტს, მიუხედა-
 ვად მის სოციალ-დემოკრატიზმისა, მარქსისტული
 აზროვნება არა ჰქონდა.

„საქართველო“ გამოვიდა პირველ მაისს
 1903 წ. პარიზში. გაზეთის კილო დამშვიდებული
 და ზომიერი იყო. პირველ ნომრებიდანვე აშკარა
 იყო მკითხველისათვის. რომ რედაქცია იყვლევს
 ნიადაგს, საზოგადოებრივ ჯუფების აზროვნების
 აწონ-დაწონვაშია და რომ, მუშათა თანაგრძნობას
 მოკლებული, მას რეალური ძალა და ენერგია
 აკლდა. თანამგრძნობი ბევრი აღმოჩნდა „საქარ-
 თველოს“, მაგრამ ეს იყო თანაგრძნობა დაქსაქსულ
 ჯგუფებისა, თანაგრძნობა უმოქმედო ინტელიგენ-
 ციისა, რომლის თავმოყვარეობა იმით იყო დაკმა-
 ყოფილებული, რომ ქართულ გაზეთთან ერთად
 პარიზში ფრანგული გაზეთიც „La Géorgie“
 გამოიკა, რომლის საშუალებით ევროპიულმა საზო-
 გადოებამაც გაიცნო ქართველ ხალხის ვინაობა.
 ეს იყო თანაგრძნობა პატიაში ჩავარდნილ „საზო-
 გადოებისა“, რომელსაც თითქოს „რილიცის“ იმე-

Հօ մոյցա, ոյս տանօգրմնոბա թռելի ազլցուած յորտուն
նախոլուս լա...դրու զաթասլու զասատեռցան վալց-
ծուս! ՏՇյահօս, ամցած հանմուտ թրյուն զյր զայ-
մյլուցընթանցն լա տցուտմէպուրուցըլոնծուս Կոնց-
ծուրչչև զյր առցեցնցն.

„Տայարտցելուս“ Յորշըլ նոմհցիւս և ուստի ուց
օմանու ոյս, հոմ ոյ յլուստա ծրմուլուս Յրոն Կոնցո
մյա պրաւ լա զաթելուլու առ ոյս թամուցնց թուլո.
զաթարուցնց թուլու յլուստեմա մոյքարա զյր ոգրմնչև,
եռլու մշշո եռլիմա յլուստերոցու թռեահիլցոնծ
զյր Յնոցա որհցանուն. զոմցուրցիւ, յև ոյս բուն-
շրու և ուսուլ-գրմոյւրագրուուլո Յոնիւրուս; ու Յոնիւրուս
յո առա, հոմելուցընթագու, „Տուրպոյրագ“ գրանան և ուսուլ-
գրմոյւրագրուս մշտայրնու, առանց Յոնիւրուս և ուսուլո-
նմուսա գրմոյւրագրուուլ ծալց մու զամնցուս. յև ոյս յորտ
լա օմաց դրու Ֆարմոննուս լա յլուստա ծրմուլուս
աղօարցիւ. Թարտալուս, „Տայարտցելուս“ և ուսուլ-գր-
մոյւրագրուս հայուղուուրոնշրու գրանցուցու առ
Ֆյոնճա, Տամացոյրու որհցանու զամնցուուլո ոյս
և ուսուլ-գրմոյւրագրուուր յոմինամուսուտ և բուրու-
շրու Յորտածու Ֆինա՛շը.

և ուսուլ-գրմոյւրագրու մշտայրնցընթագ առ լա-
սրուց յա „Տայարտցելուս“ զամնցուուլո. յյենցանու լաս-
րամիւ Յուրահա ծրու Մայրա „Վարուուլ նապոնալուս բու-
ծուս“ Տատայրուտ. յև ծրու Մայրա ուսուս ծրունցը
լա գրանցուուլո ոյս. մայր կամատու զամնցուրցիւս հիյեն
ոյ առա զայուսնուլոնծու. պայլու օմաւ զոցոնցիւ ամ-



უამიად მხოლოდ იმ განზრახვით, რათა ნათელი
მოვფინოთ ეხლანდელი ჩვენს პოზიციას განვლილ
იდეიურ კამათის გათვალისწინებით. „ისეთმა ფურმა
დამწისლოს, ჩემზე მეტს იწველიდესო“ — ამბობდა
მაშინ „საქართველო“. მართლაც, ხსენებულ ბრო-
შიურის ავტორი უკიიენებდა „საქართველოს“ — კლა-
სთა ბრძოლას აღიარებთ, ბურეუაზიას კი ეკავშირები-
თო. რედაქტირა უპასუხებდა: — მართალია ვეკავშირებით,
მხოლოდ ვეკავშირებით სწორედ ისე, როგორც სოცი-
ალ-დემოკრატია ეკავშირება ბურეუაზიულ ფრაქტი-
ებსაო — თქვენი პროგრამა ბურეუაზიულ-დემო-
კრატიულია. მართალია, მაგრამ არც თქვენია სო-
ციალისტური თქო — თქვენ მხოლოდ ბატონ ყმო-
ბის ნაშთების მოსპობა გსურთ და მუშებისთვის
სამუშაო რეა საათიან დღეს ითხოვთო. მართალია,
ვითხოვთ, მაგრამ ვარსკვლავების ჩამოსალებათ
არც თქვენ მისცოცავთ ცაზედაო. — თქვენ ბურეუ-
ები ხართ, რადგან ეროვნებას ესარჩეობითო. მარ-
თალია, ვესარჩეობით, ხოლო „ბურეულობა“ აქ
არაფერს შეაშია. დაჩიგრულ ერის გამოსარჩეობა
უფრო სოციალისტს შეჰვერს თქო. თქვენ დეცენ-
ტრალიზმურიას ებლაუჭებით, იმიტომ რომ ფეოდა-
ლურ კარჩაკეტილობის ეტრფითო. თქვენ კლერი-
კალები და შატყუარები ხართო, თქვენ...

აქ შევწყვიტოთ ჩამოთვლა იმ ცოდვებისა,
რომელშიაც სოციალ დემოკრატები ბრალსა სდე-
ბდენ „საქართველოს“. მაშინ ნათლად და ცხ —

დად მხოლოდ ერთი რამ გამოირკვა: იმ კრიტიკა-
ში, რომელიც „საქართველოს“ წინააღმდეგ იყო
მიმართული, საკეირველის სიცხადით გამოაშკარავდა
„დემოკრატიულ სოციალიზმის“ სიფუცე და სიყალ-
ბე. აქ ყოველივე, — სოციალიზმი, თავისუფლება
და ხალხის ინტერესი — რევოლიუციონურ ფრაზე-
თლოვნის შესწირეს ზეარაკად. სოციალ დემოკრა-
ტიულ პოზიციის ნაკლულევანების დანახვით კი
ჩეენის საკუთარ პოზიციის ნაკლულევანები ვიგრძე-
ნით და ამ დროიდან იწყება რადიკულური
განსხვავება ჩვენსა და სოციალ-დემოკრატთა შო-
რის. ეს განსხვავება დღითი დღე იზრდებოდა,
განსაკუთრებით იმიტომ, რომ ჩეენ გადაჭრით
გამოვესარჩევთ მშრომელ, წვრილ მესაკუთრე
გლეხობას, რომელსაც სოციალ-დემოკრატები
მედიდურად ბურეულებს უწოდებდნენ, ხოლო რომე-
ლიც ჩვენს თვალში პროლეტარიატისავით ძლიერი
ფაქტორი უნდა გამხდარიყო ახალ წყობილების
დამყარებაში.

ცხოვრებამ ამ მხრივ სავსებით გაამართლა
„საქართველოს“ მოლოდინი. წვრილი მესაკუთრე
გლეხი, კლასობრივ შემცენებით გამსჭვალული,
გახდა აქტიურ ფაქტორად დღვევანდელ რევო-
ლიუციისა. იმის ძლიერების წინაშე ჩაფიქრდნენ
დოკტრინიორებიც კი და საჩქაროდ შეუდგნენ
თავიანთ პროგრამების შევსებას, გადაჭრას და გა-
დაკეთებას. შაგრამ ამ გადაკეთებით დოკტრინიო-



რეპმა თავი ვერ დააღწიეს ლოლიკურ წინააღმდეგობას. გაპროლეტარების თეორია არ იყო უარ-ყოფილი, მესაკუთრე გლეხებს კი ჩაეჭიდნენ. მათ მდგომარეობის გაუმჯობესობაზედ იწყეს ზრუნვა, მესაკუთრეობის განმტკიცებაზე იწყეს ფიქრი. ამ გვარის მოქმედებით თვითონვე გაოცლეს ფეხით იდეური ნიადაგი, რომელზედაც იდგნენ.

მაგრამ ამ ხანებში მოხდა თვალსაჩინო გარემოება, რომელსაც დიდი წილი პიუძლვის წამოყენებულ საკითხების გამორკვევის და განმარტოების საქმეში.

1 აპრილს 1904 წ. უენევაში მოხდა კონფერენცია ქირთველ რევოლუციონურ ჯგუფებისა. „საქართველოს“ რედაქცია დიდ მნიშვნლოებას აძლევდა ამ კონფერენციის, განსაკუთრებით იმიტომ, რომ მასზედ უნდა დასწრებოლნენ სოციალ-დემოკრატები, თანახმად მათის წინადვე გამოთქმულ სურვილისა. სოციალ-დემოკრატები მტრულად გვექცეოდნენ, დაუმსახურებულ ბრალსა გვდებდნენ. საჭირო იყო პირის-პირ მოგვესმინა მათი მსჯავრი; საჭირო იყო გაგება სხვა ამხანაგების აზრისა. გვინდოდა პოლიტიკურ მიმართულებათა გამოკამათებით გაგვეგო ჩვენი მიმართულების ლირსება-ნაკლულევანებაც. მაგრამ სოციალ-დემოკრატებმა არ მოინდომეს ჩვენთან კამათი. მოსვლით კი მოვიდნენ, მაგრამ ორი დღის უნაყოფო და უაზრო კამათის შემდეგ, კონფერენციის თავი დაანებეს...

აქაც ძველ ანგარიშების გასწორებას არ ვაპირებთ.
 ყოველივე, რაც მოხდა და ითქვა ამ კონფერენცი-
 აზედ, შეტანილია ოქებში, რომელნიც ცალკე წიგ-
 ნად დაბეჭდა რედაქტირამ. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ
 ერთ ჩამეს: ჩვენ მოპირდაპირეთა თვალში სოციალ-
 დემოკრატიზმი და მარქსიზმი ერთად-ერთი ფორმა
 იყო სოციალიზმისა. ყოველი სხვა სოციალური
 მიმართულება არა მარქსისტულის ხასიათისა მხო-
 ლოდ ხალხის მოსატყუებლად არის გამოგონილიო.
 ვინც ს.-დ. არ არის, ბურჟუა, ვინც ბურჟუა
 არ-არის, ს.-დ. უნდა იყოს და თუ ს.-დ. არ-არის
 და სოციალიზმს კი ჩემულობს, ეგ, რასაკვირველია
 ბოროტ-განზრახვით მოსდისო; აქ ცბიერება და
 ლალატი იმაღება, ამიტომ ჭეა მაგასო! ასეთი იყო
 აზროვნება ს.-დემოკრატებისა. მაგრამ კონფერენ-
 ციის მნიშვნელობა ამ გარემოების გამო არ შემ-
 ცირებულია. ხაურადღებოა ის რომ სწორედ ამ კომ-
 ფერენციამ ჩაუყარა სიფუძველი ახალ პარტიის — სო-
 ციალისტ-ფედერალისტთა პარტიის. წინად დაქსა-
 ქსული ჯგუფები იყვნენ, იდეურ გაერთიანებისა.
 თვის მათ გარკვეული პრიგრამა აკლდათ. ეხლა
 ალიარებული იყო იმ პროგრამის ძირითადი პრინ-
 ციპები და დაქსაქსულ ჯგუფების შეერთებაც შესა-
 ძლებელი გახდა. იქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ
 დამსწრე ანარქისტებმა თავისებური ხასიათი მის-
 ცეს კონფერენციას. მათის გავლენით სოციალურ
 საკითხების გარჩევას მთავარი ყურადღება მიექცა,

აღიარებული იყო მუშათა მოძრაობის კლასობრივი
და დამოუკიდებელი ხასიათი. გარდა ამისა, მათვე
წამოაყენეს ის აზრი, რომ სოციალიზმ-ფედერალიზმი
ანარქიულ-სოციალიზმის შინაარსია და რომ სო-
ციალიზმის განხორციელება სახელმწიფოებრივ
ფორმებში შეუძლებელი ოცნებაა. მაშინ ხოლო ამ
საგნის შესახებ კამათი არსებითად არ გამართულა.
კონფერენციაშ „საქართველოს“ რედაქციის დავა-
ლა დაწვრილებით გამოერკვია სოციალიზმ-ფედე-
რალიზმის პრინციპები და პროგრამაც შეემუშავე-
ბინა ამ პრინციპების მიხედვით. „საქართველოც“
შეუდგი ამ საქმეს. მაგრამ ამ დროს რუსეთსა და
კავკასიაში დიდებული რამ ხდებოდა: ყოველივე
ამოძრავდა, უცელას და ყველაფერს ახალი ელფე-
რი დაედო, იშვა და გამოაშეარავდა ახალი ძალა,
დაარსდნენ ახალი წრეები და პარტიები. და ყოვე-
ლივე ამან დიდ-მნიშვნელოვანი გაკვეთილი მისცა
სოციალისტურ მოძრაობას.

თავი III.

პირებული ნაბიჯები.

რევოლუციის ისტორიას არა ვწერთ. ჩვენ
გვინდა აღვნიშნოთ მხოლოდ ზოგიერთი მომენტი
იმ დიდებულ მოძრაობისა, რომელიც ჯერაც არ
დაბოლოვებული და რომელსაც მოჰყვება ძირითა-
დი გარდაქმნა ჩვენის ცხოვრებ სა. ზემოდ უკვე

გვქონდა ნათქვამი, რომ ამ რევოლუციის თავისი
ეტაპები წარსულშიაც ჰქონია. საქართველოს ტე-
რიტორიაზედ ხალხი არ მოსვენებულა; ხან ერთ
კუთხეში იფეთქებდა ამბობება, ხან მეორეში. ხან
პოლიტიკურ მონაბის წინააღმდეგ სდგებოდა ხალ-
ხი, ხან სოციალურ უკუღმართობის შესწორება
სწადდა მას. დღეს კი წყლული მომწიფდა, უკმა-
ყოფილება მოზღვავდა ერთის კიდიდან მეორემდის.
გამოფხილებულ ხალხს ბელადი და გზის მაჩვე-
ნებელი სჭირდა და ამ ბელადად გურია, გურიის
გლეხ-კაცობა გაუხდა ქართველ ხალხს. რაც გუ-
რიამ განიკადა და მოიმოქმედა, რაც გურიაში
ითქვა და შემუშავდა,—ის მოედო მთელ საქართვე-
ლოს, ის გახდა ქართველ ხალხის აზრიდ და საქ-
მედ. ეს იყო მოძრაობა ხალხოსნური, მოძრაობა
ხალხის გულში შემუშავებული და დიდ ხანს გულ-
შივე შეგუბული, მოძრაობა დიდებული და ორი-
გინალური. ბევრსა ჰყონია, რომ ამ მოძრაობას
სოციალ-დემოკრატები ხელმძღვანელობდნენ და
რომ იგი მოძრაობა სოციალ-დემოკრატიული მო-
ძრაობა იყო. მაგრამ ეს შემცდარი იზრია. მართა-
ლია, მოძრაობის მსვლელობის დროს საქმეში სო-
ციალ-დემოკრატია ჩაერია, მართალია ისიც, რომ
ჩვენებურ მუშებს სოც.-დემოკრატები ხელმძღვანე-
ლობდნენ იმ თავითვე, ხოლო ჩვენი რევოლუციის
ორიგინალობა სოციალ-დემოკრატიულ თე-
ორიის და მოქმედების გარეშე გამოისახა.



ցուրնօս մոժրաօնձու Շյեսեցք „Սայառուցուղու“
(№ 22, թարգո) առ հասա և թիւրլա: „Ցուրնօսի թջու-
մարյոնձ ամեառնօս: Մեմամյուլուն գարծոն, Տրուց-
ծուն տացոնտ սաելլ-յարս. մատո ցըլպէզա ոմոտ առ-
սեցնա, հոմ ցլուեցնո յմոյշիրեցնոն դա մամյուլունուն
ցիւկրութիւնուունու սուրբունու պրեալուն. եալսօ մու-
ցրոնձուն սասամարտունուն ալար դագուն դա ծցըրմա
եալսօն Շունու սահոցրեցնո եցլու ուլու. ունցըրցը-
տուն մեսչյունու ցամոցսկալունոն, ուրացուարու սայմե
ալար մայքս, եալսն հիմտան ալար դագուն, պայլա
սայմեցնու ույրմյ եալսօն մոյր ամուրիցունու սամեչա-
ցրու ԼՇպացը... հոմ դացուցոյիրգու ամ Շյեսանունաց
դա սրա-հայուլունուց ցարեմոցնու, դացունսեացու, հոմ
հայեն եալսն, ցրտ մուս նայունու մանու ցասցու, հա-
նու թջումարյոնձ և սուպունուրու հյոցոլունու. Շրո-
մուն ցանտացուսուցունուն դա ցրուն սայստրեցնուն մո-
ւնունունուն ցրուալ, ոցո սրանունուն նամուցուն ցրու-
նալուն գրենցնուցունուն. ոցո սրիցս գլուս սայստրան
սամեչացրուն, սյեճան ցրուու նածոյցու ուցուսուցուն
„ցրմունուն“ սրուարցնունու. ոմ եալսն, հոմելսու և
սմցարու մետայրնու, մեծունունու չկացս, մոմացալուն
առ լինու ցոյոյիրեցուցը!“ ասց եչունա „սայառուցու-
ղու“, մացրամ, սասպելուրու, ամ Շյեսանունաց դա
ուրուցունալուն մոժրաօնձուն մալու և եցա ցարու մոմար-
տուլունուն մուսցը. ցուրուլ ցլուետու, յարուցը եալ-
սօն ամ „մետայրեցնուն“ մոյմեցնուն սանլցարու դայ-
ցը; ծովունցու մետայրեցնու „ցալապայենց“, ցարու մու-

პირებმა ისურვეს მოძრაობის მეთაურობა, და საქ-
მეც სხვანაირად დატრიალდა. იმ დროს, როდესაც
თითქმის მთელ საქართველოში აპრიალეს სასოფ-
ლო კანცელარიები, დასწევეს ოფიციალური ქა-
ღალდები, გადააყენეს მთავრობის მოხელენი, იმ
დროს, როდესაც გლეხობა ტყის და სამოვრის სო-
ციალიზაციას ახორციელებდა, ხოლო ზოგიერთ
კუთხეში მიწის სოციალიზაციის შესახებაც იწყეს
ფიქრი და ქადაგება, მოძრაობას წინ გადაელობნენ
სოციალ-დემოკრატები და ზღვისავით ფართო ხალ-
ხოსნური მოძრაობა ჩასდეს კალაპოტში, შებოჭეს
„სტიქია“ და ღიდებულ იდეალებით გატაცებულ
ხალხს პატარა დროშა დააკერინეს ხელში, რომელ-
ზედაც ეწერა: „ბატონ-ყმობის ნაშთების გაუქმე-
ბა“ და „ჩამონაკრები“. აი ამ დროიდან შეიქმნა
მოძრაობა სოციალ-დემოკრატიული, წინად კი
(მართალია, მოკლე ხანს) იგი იყო მარტოოდენ
ხადჭასნური და კომუნალური.

რათა ლიტონ სიტყვად არ ჩამოგვართვან ზე-
მოდ ნათქვამი, გავიხსენოთ ის, რაც ითქვა ამ სა-
გნის შესახებ თუნდ რუსეთის ს.-დემოკრატების მე-
ორე სიეზდზე. თავის დროზე „საქართველომ“ (№
24) აღნიშნა იქ ნალაპარაკევი. ყური დაუგდეთ
კავკასიის დელეგატს ვინმე კოსტროვს. კოსტროვი,
ჩახედული გურიის გლეხების საქმეებში, აფრთხი-
ლებდა ამხანაგებს: „ნაშთებს ნუ დავჯერდებით,
სოციალიზაციაც შევიტანოთ პროგრამაში, თორებ



ხალხი ხელიდან გაგვისხლტებათ თუ ვუთხარით გლეხობას, ამბობს კოსტროვი, რომ რევოლუციაშ მხოლოდ ძველი ნაშთები უნდა აღმოფხვრასო, ეს ის იქნება, ვითოვც არაფერი არ გვითქვამს. ისინი მეტს მოითხოვენ და რევოლუციის დროს მიწას მოპხევევნ ხელსათ”. (ზ. სიეზდის ოქმები, გვ. 196). ან კიდევ: „...გურიაში „ჩამონაქრებზე“ კი არ არის ლაპარაკი, ბატონ-ყმობის ნაშთები იქ ყველაზე მეტად არის გამქრალი... მოძრაობის სათავეში თვით ჩვენი ამხასაგები უდგნენ და ქადაგებდნენ არამც თუ ბატონობის სრულს აღმოფხვრას, არამედ მიწის სოციალიზაციასაც. მე თვითონ ვიტი, რომ იყო შემთხვევა, როცა სოფლის ყრილობაში ერთმა უბრალო გლეხთაგანმა იქადაგა მიწის საკუთრების გაუქმების შესახებ და მის სოციალიზაციაზე...“ (იქ- ვე გვ. 213).

ხომ გესმით! სანამ მოძრაობა ხალხოსნური იყო, სოციალიზაციაზე ბჟობდნენ, ხოლო შემდეგ, როდესაც კოსტროვის გაფრთხილებამც ვერა უშველია და ხალხს მიასიქს „დოქტრინორები“, ხალხოსნური მდინარე მარქსისტულ მორევში ჩამარხეს. წინად „კოსტროვები“ ხალხს მისდევდნენ, მერე კი თავისი თავი და ხალხიც ლენინს გააყოლეს — იმ ლენინს, რომელიც ხსენებულ სიეზდზე არიგებდა კოსტროვს: „ჩვენ დავშორდებით პროლეტარიატის კლასობრივ შეხედულებას, თუ რომ ჩვენს პროგრამაში შევიტანთ, რომ გლეხობა ერთობს შორს



წავა ბატონიშვილ ნაშთების გაუქმებაზეო". (გვ. 198). ხომ გაიგეთ! კაცს ფაქტებს ეუბნებიან, გლეხები სოციალიზაციას ითხოვენო. ფილოსოფოსი კი შეუდრკელად რომავს: ჩემის გამოანგარიშებით, გლეხობა ბატონ-ყმურ ნაშთების გაუქმების იქით ვერ წავა და თუ წავა, უთხარით, რომ ეგ ეწინააღმდეგება „პროლეტარიატის შეხედულებას“ და ფეხსაც აღარ გადასდგამსო... უგუნურებავ, ძლიერია შენი სამეფო!

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ სოციალისტ-ფედერალისტებს. ამ დროში ამ პარტიას უკვე განსაზღვრული ფიზიონომია მიეცა. შესამჩნევად მარცხნივ დაიხრა მაგრამ საკირველია პირველ შეხედვით ერთი რამ. პარტიის მოძღვრება და მიმართულება თითქოს ეთანხმებოდა იმ მიმართულებას და მოძრაობას, რომელსაც თვით ხალხი ადგა. ხალხს მთელი მიწა უნდოდა. ს.-ფედერალისტებიც მიწის სოციალიზაციას ჰქადაგებდნენ. ხალხს სრული თვითმართველობა ხწადდა: მან სოფლის აგრონომიაც კი აღიარა, ს.-ფედერალისტებიც აგრონომიას იცავდნენ. ხალხს რუსეთისაგან განშორება არ უნდოდა; ს.-ფედერალისტებიც ფედერალიზმს აღიარებდნენ. ხოლო მიუხედავად ყველა ამისა, ხალხს ბელადად „ჩამონაკრების“ და „ცენტრალიზმის“ მქადაგებელნი გაუხდნენ. რათ მოხდა ეს? რა მიზეზია ამისთანა უკუღმართობისა? ამისი ბრალი, ერთის მხრივ, თვით ს.-ფედე-

რალისტებს ედებათ.. მეორეს მხრივ კი, მიზეს ს.-დემოკრატთა პარტიის ვითარებასა და მოქმედებაში უნდა ვეძებდეთ. მართალია, ს. ფედერალისტთა პარტია ახალი, ნორჩი პარტიაა; მხოლოდ ამ ხანაში ისახებოდა მისი ფიზიონომია; მხოლოდ ეხლა აარ-სებდა ის კომიტეტებს, ეხლა იწყო პროპაგანდა და პრაქტიკული მოქმედება. მაგრამ პარტიის პირ-ველი ნაბიჯები შეუცდომელი არ იყო. პარტიას ირგვლივ ეხვეოდა იმისთანა ხალხი, რომელსაც სო-ციალიზმთან არაფერი ჰქონდა სიერთო. მართალია, ეგ მოხდა იმიტომ, რომ „საქართველომ“ ავტონო-მია აღიარა და ივტონომიის აზრს „ქართული სა-ზოგადოება“ ჩაექიდა. ხოლო „ქართულ საზოგა-დოებას“ თავისი პარტია, თავისი პოლიტიკური მოღვაწენი არა ჰყავდა და დაებლაუკნენ „საქარ-თველოს“ და მის მიმდევართ. ესენი ავტონომიას იცავენ, „დასელებსაც“ ეომებიან, მაშ ჩვენი ლვი-ძლი შვილები იქნებიან. ს.-ფედერალისტებსაც გაუხარდათ, თანამგრძნობი ელემენტი გვყავს. ის კი არ მიიღეს მხედველობაში, რომ ეგ „თანამგრ-ძნობი ელემენტი“ ვნების მეტს მას არას აძლევდა. ს. დემოკრატებმაც კარგად გამოიყენეს ეს გარემო-ები. ქართულ საზოგადოების, ქართულ ბურჟუა-ზის, მემამულების და მესაქუთრების ფსიხოლო-გიას ს.-ფედერალისტთა პარტიის ფსიხოლოგიად ხდილნენ და მოურიდებლად სახელს უტეხავდნენ ხალხის თვალში—ფედერალისტები გატონ-ყმობის

მომხრენი არიან, პირბადეს იფარებენ, დახეთ „ძლიერთა“ წყალობა არ აკლიათ, დახეთ ყოველთვის და უვერგან სოციალ-დემოკრატებს ეჩხუბებიან, უველის დაუმევობრდებიან, ოღონდ ს.-დემოკრატებს დააკლონ რამდო. ს.-დემოკრატებს სიმართლის განძრას დამახინჯებისათვის ხალხის და ისტორიის წინაშე დიდი დანაშაულობა მიუძღვით. მაგრამ ს.-ფედერალისტებიც უტაქტობისა. თუ პოლიტიკურ მოუმწიფებლობის გამო სიცრუის მთქმელთ საზრდოს აღლევდნენ...

ეხლა გარემოება იკვლება. ხალხის მოძრაობამ შეანძრია მთელი საზოგადოებრივი შენობა. ყოველივე დაბარბარულა, შეირხა, ვისაც ეძინა—ვამოიღვიძა; ვისც ფხიზელი იყო, ხოლო უსაქმო აცნებაში ატარებდა სიცოცხლეს, მოქმედება დაიწყო. მოძრაობამ უველის თავ-თავისი ადგილი უჩივნა. ვინც წინად მარჯვნივ იდგა, მარცხნივ დაიწია. ხოლო, ვისაც ცხოვრებაში არაეითარი ადგილი არ მოეპოვებოდა, ამ ადგილის შორინაზე დაიწყო ფიქრი. ხალხმა უარჟყო ეკლესია და მღვდლები. მღვდლებმაც ეკლესის გაუმჯობესობაზე იწყეს ზრუნვა. გაჩნდნენ ჩევნში ავტოკეფალისტები. ხალხმა ზურგი აქცია უსარგებლო სკოლის. პედაგოგებმა სჯა-ბააასი დაიწყეს სკოლის გაუმჯობესების შესახებ. ხალხმა ბრძოლა გამოუტხადა უმოქმედო ბურუუაზოულ ინტელიგენციას და ბურუუაზიაზიც იფიქრა, გულ-ხელ დაკრეფილი არ უნდა ვიყო,

საჭიროა აჩსებობისათვის ბრძოლა გავწიო, პოლიტიკური პარტია შევადგინო, საჭიროა გავაგებინო ხალხს, რომ არც მე ვარ წინააღმდეგი მოძრაობისა, საჭიროა მოვხიბლო თავისუფლების ილიუზიებით, იგებ ხალხის წყრომა დაშოშმინდეს!.. და აი ვხედავთ საყურადღებო მოვლენას. ს.-ფედერალისტებს ნელ-ნელა „ზომიერი“ და „დარბაისელი“ ელემენტი ეცლება. ამათ პარტიის გარეშე მდგარა მა საზოგადოებამაც მისცა მხარი და „დემოკრატიულ“ პარტიის ფიზიონომიაც ისახება ნელ-ნელა. ქართველი დემოკრატები იხლად გამოსული პარტია (თუ სიტყვა „პარტია“ აქ უადგილო არ არის). ხალხი კი, რომელიც ამ პარტიაში შედის, ჩვენი ნაცნობი პარტიოტები არიან. ამ სამი-ოთხი წლის წინად ესენი იყვნენ, რომ გაიძახოდნენ; „ფრთხილად! ჩუმად!.. გადავვისახლებენ! მოგვსპობენ!.. აი მარშალი“... და სხვა. დღეს ესენი დემოკრატები არიან. ზოგიერთი მათგანი „სარევოლიუციო“ სიტყვებსაც კი ხმარობს ლაპარაკში. დროთა ბრუნვაა. ან კი, თუ აღამიანი მიმუნისაგან წარმოსდგა და განვითარდა, რატომ ქართველი დემოკრატები ვერ წარმოსდგებიან იმ მცონარა, მშიშარა და იდეალს მოკლებულ წრიდან, რომელსაც აქვს სახელი „ქართული საზოგადოება“—ოლონდაც! მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ მიზეზების გამონახვას. საქმე ის არის, რომ რუსეთში მოძრაობა დიდი ხანია მზადდებოდა. 1825 წლიდან მოყოლე-

ბული თითქმის განუწყვეტლივ ვითარდებოდა საკონსტიტუციო, ნაროდნიკული და სოციალისტური მოძრაობა. რუსეთის ინტელიგენციის შესაფერი ამაგი მიუძღვის ხალხის წინაშე. იყო დრო, როდესაც გამბედავი პატარა ინტელიგენტთა ჯგუფები ებრძოდნენ ერთსა და იმავე დროს მთავრობის ვერაცობასისას ტიკეს და ხალხის გულგრილობას, მოუმზადებლობას და ხშირად მტრობასაც კი. მძიმე და უნუგეშო მუშაობას ეწეოდნენ რუსეთის ნაროდნიკები, რომელნიც ხალხისთვის ცოცხლობდნენ, ხალხისთვის იბრძოდნენ, ხოლო შეჩვენებულნი და დევნილნი იყვნენ საკუთარ ქვეყანაში. მაგრამ რევოლუციონერთა თავგანწირული ბრძოლა, რომელსაც მიუხედავად ათასგვარ დაბრკოლებისა, ხშირად გამარჯვებაც ხვდებოდა ხოლმე წილად, ბოლოს, მეოთხმოც წლებში, სრულიად დამარცხდა. ამ დროიდან რეაქციამ იწყო მძინვარება, ამ დროიდანვე იწყება მარქსისტული, სოციალ-დემოკრატული მოძრაობა—მოძრაობა ზომიერი, წყნარი და მშვიდობიანი.

რაც შეეხება საქართველოს, აქ სხვა გარემოებას ვხედავთ. ზემოდ გვქონდა ნათქვამი, რომ მეცხრამეტე საუკუნეში ჩვენში მომხდარ აჯანყებას თუ ამბოხებას უმეტეს შემთხვევაში ხაღსური ხასიათი ჰქონდა. თვით ხალხი იყო მოძრაობის დამწყები:— ინტელიგენცია არსად სჩანდა. ჩვენის ახალგაზღვობის ერთი ნაწილი რუსეთის მოძრაობაში

იღებდა მონაწილეობას. პეტერბურგსა და მოსკოვ-
 ში იწყებდა მოქმედებას, ხოლო შებორკილი სწყვე-
 ტდა და ოთავებდა ციმბირის შორეულ გუბერნიებ-
 ში. ახალგაზღვის მეორე ნაწილი კი, მშვიდობია-
 ნი და ზომიერი ნაწილი, სამშობლოში „კულტუ-
 რულ საქმეებს“ ეწყოდა. მით დაგვიარსეს პრესა,
 თეატრი, შექმნეს ახალი ტიპის ხელოვნება და სხვა
 ამ გვარი, ქართულ საზოგადოებრივობის განვითა-
 რებისათვის ეგედა ამასაც ქქონდა თავისი მნიშვნე-
 ლობა. ხოლო აქ არ იყო თავისუფალი აზრი, პო-
 ლიტიკურია მწეობრი მოქმედება, გაბეჭდება, აქ ამ
 წრებში ერთგნული მეღანქოლია და სპლანი იზრ-
 დებოდა, აქ მოქადაქობრივი გამბეჭდობა ნაფიც-
 მსაზუღა ინსტიტუტის და ერთბის შემოღების
 საჭიროების აღიარების იქათ არ მაღიოდა.

ბოლოს, როდესაც სოციალ-დომოკრატიული
 მოძრაობა საქმარისად გაიზარდა რუსეთში, ჩვენ-
 შიაც გაღმოიტანეს მარქსიზმი. ინტელიგენციის ერ-
 თის ნაწილის საშუალებით ქართველ მუშებში დაი-
 წყეს მუშაობა. ეს მუშაობა თხუთმეტიოდე წელი-
 წადი სწარმოებს. და მას შედეგად ის მოჰყვა, რომ
 ქართველ მუშების დიდი უმრავლესობა სოციალ-
 დემოკრატებად გახდნენ. მეტიც, ქართველ მუშე-
 ბის გავლენით იყი მოძრაობა კავკასიის პროლე-
 ტარიის დიდ ნაწილს მოედო.

ვინც რა უნდა სთქვას ქართველ მარქსისტე-
 ბის შესახებ, მხოლოდ მათ ერთი უტყუარი დამ-

სახურება სამუდამოდ შერჩებათ. ისინი მიერდნენ
 ჰუშებთან, დარაზმეს იგინი და ამოძრავეს. სხვა
 კითხვაა, რა შეიტანეს ამ წრებში, რა ღირსების
 რაზმები და მოძრაობა შექმნეს. მიუდგომელ და
 ჩახდულ ადამიანისათვის აშკარაა, რომ იქ თავი-
 სუფალ სოციალიზმის ქადაგებას არა ჰქონდა ადგი-
 ლი, აქ სოციალიზმს დემოკრატიზმს უქვემდებარე-
 ბდნენ. და ეს იყო მიზეზი, რომ რუსეთშიც და
 ჩვენშიაც კონსტიტუციონალისტთა დროშა მუშებს
 ეჭირათ, მაშინ როდესაც მარტოოდენ ბურეუაზიას
 და დემოკრატიის უნდა სქეროდა იგი.

სოციალ-დემოკრატებმა დაარწმუნეს მუშები,
 რომ მათი მისსია ბურეუაზიულ რევოლუციის მო-
 ხდენაა და მუშებმიც იკისრეს ბურეუაზიულ რევო-
 ლუციის მეთაურობა. რევოლუციებს, საზოგადოდ
 „კილოს და ელფერს მუშები“ იძლევენ ხოლმე და
 ამიტომ იყო, რომ რუსეთში და ჩვენშიაც ხალ-
 ხოსნური მომრავბა შეიხუთა, მას ითქოს ფრთე-
 ბი შეაჯვეცეს და ყოველივეს და ყველას ბურეუა-
 ზიული დაღი დააკრეს. ხოლო ამ „ბურეუაზობის“
 წინააღმდეგ ბრძოლის უნარი ს.-ფედერალისტებს
 არ შესწევდათ. ისინიც იყვნენ გაბმულნი ბურეუ-
 აზიულ რევოლუციის მიერ მოქსოვილ ბადეში.

აი, აქ უნდა ვეძებდეთ იმ გარემოების ახსნას,
 რომ ხალხი უკვე ნაცნობ სოციალ-დემოკრატებს
 გაპყვა და ზურგი უჩვენა ახლად მოვლენილ ს.-
 ფედერალისტებს, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკა-

ნელნი თითქოს უფრო ახლო იდგნენ ხალხის მისწრაფებასთან. პო, ახლო იდგნენ, ხოლო ხავსებით კი ვერ მოახერხეს რევოლუციის აზრის და სულის გაჩინახვა. რევოლუციის აზრი და სული კი ერთ შოდატიაგურ რევიზის დამხმაბაში და მეორეს აშენებაში არ არის. იგი დაშლა-დარღვევაშია მაღმოძრევე ფორმებისა, სულ ერთია კონსტიტუციონალური ხასიათი აქვთ ამ ფორმებს, თუ აგროვნა-ტიული.

სახელმწიფო ძალდატანებით დაარსდა და ხალხი შეგნებით თუ ინსტინქტით ყოველთვის ებრძოდა იმას, რაც ძალით მოახვიეს კისერზე. რევოლუციის დროს იგი შლის და ანგრევს საკუთრების დამცველ სახელმწიფო ოებრივ შენობას და აი თუ ამ დროს მას დაანახვებენ თავისუფლების სამეფოს, ასწივლიან, როგორ უნდა მოაწყოს თავისი ცხოვრება სოლიდარობის და ნებაყოფლობის ნიადაგზე, რევოლუცია ნაყოფიერი ხდება, პრესსის და ქადაგების ძალა და მნიშვნელობაც იზრდება. სოციალურედროლისტებმა ეს გამოიყენება ნაბიჯი ვერ გადადგეს, ვერც გავლენა მოიპოვეს.

აქ შევდგეთ. იხლა მივაჭურით ყურადღება ს.-ფედერალისტთა პარტიის დღევანდელ იდეურ ვითარებას. პარტიაში ორმა მიმართულებამ იჩინა თავი. ვნახოთ, რა ნიადაგზე მოხდა ეგ იდეური განხეთქილება და რა ხავნის გარეშემო ტრიალებს დავა ორ მიმართულებათა შორის.

თავი IV.

„მეგობარი“ და მისი მრწამსი.

გადავფურცლოთ „მეგობრის“ ნომრები. „მეგობარი“ (და მის შიმდევ „ისარი“) თუმცა არ იყო ოფიციალური ორგანო პარტიისა, მაგრამ ყოველთვის გამოდიოდა მოსარჩევეთ პარტიის მარჯვენა ფრთისა და მტკიცედ და მხურვალედ იცავდა „სახელმწიფოს“ და „დემოკრატიზმს“ „ანარქისტების“ წინააღმდევ. მაში გავეცნოთ „პეგობარს“.

თავდაპირეველი უნდა იღვნიშნოთ, რომ „მეგობარსა“ ჰყონია, ვითომ პარლამენტარისტთა და ანტიპარლამენტარისტთა შორის ცაქტიკური უთანხმოებაა მხოლოდ და ამიტომ გაზეთის აზრით „პარტიულ მთლიანობის ინტერესმა უნდა უკარნახოს ჩვენს ამხანაგ ანტიპარლამენტარისტებს, ან ჩვენთან ერთად იმუშაონ ხათათბიროს წევრთა არჩევნებისათვის მზადებაში და ან თუ ეს ვერ მოახერხეს ხელი მაინც არ შეგვიშალონო *)“ („მეგობარი“ № 11). როგორც ხედავთ, „მეგობარი“ დარწმუნებულია, რომ იგი ნამდვილ ნიადაგაზე დგას და ურჩევს ანტიპარლამენტარისტ-მეგობრებს, პარტიის მთლიანობის ნუ დაარღვევთ, დაგვეთანხმეთ და თუ არ დაგვეთანხმებით, ნუ გვიშლითო, რადგან ჩვენა

*) მაშინ ირკვევოდა საკითხი, მიყიღოთ თუ არა მონაწილეობა საპარლამენტო არჩევნებში.



ვართ პარტიის აზრების გამოშსახველი და მისი ტრა-
დიციების დამცველნის „მეგობარი“, რა თქმა უნ-
და, ძლიერ გაკვირვებული დარჩებოდა, ანტიპარ-
ლამენტარისტებს რომ ამ გვარადვე მიეგო ორგა-
ნოსთვის: პარტიულ მთლიანობის ინტერესში უნდა
უკარნახოს ჩვენ ამხანაგ-პარლამენტარისტებს, ან
ჩვენთან ერთად იმუშაონ სათაობიროს წრის გარე-
შე, ან თუ ეს ვერ მოახერხეს ხელი მაინც არ შე-
გვიშალონო. ვგონებ, ამის თქმა იმგვარივე უფლე-
ბით ანტიპარლამენტარისტებსაც შეეძლოთ, მაგრამ
აქ უთანხმოება ტაქტიკური კი არ არის, არამედ
პრინციპურია. „მეგობარი“ კი ტაქტიკურ ნია-
დაგზე გადმოიტანა კამათი და სადაც საგანი მე-
ტად გაიიაფა.

ჩვენ აქ იმის შესახებ ლაპარაკს არ ვაპირებთ,
უნდა თუ არა მივიღოთ მონაწილეობა არჩევნებში.
ჩვენ გვინდა მხოლოდ მივაქციოთ მკითხველის ყუ-
რადლება იმაზედ, რომ „მეგობრის“ რედაქცია ძლი-
ერ მტკიცედ არის გამსკვალული სახელმწიფოებრივ
ტენდენციებით. და სწორედ ამითი აიხსნება მისი
თავგამოდება სახელმწიფოებრივ დაწესებულებისა-
დმიც. მართალია, „მეგობარი“ ამბობს: „ს.-დემო-
კრატებისავით არ ვაზვიადებთ სახელმწიფოებრივ
დაწესებულებათა“ო, მაგრამ, ეს ასე არ არის. ვადა-
იკითხეთ გაზეთის მეთაური წერილები და ნახავთ,
რომ გაზეთი უზომოთ აზვიადებს სახელმწიფოს და
კანონის მნიშვნელობას, ყური დაუგდეთ: „რო-



დესაც მომქმედი კანონები შეთანხმებულია საზოგადოებრივ და უფლებრივ შემეცნებასთან, მაშინ გრძნობა კანონიერებისა მტკიცე ნიადაგზეა დამყარებული და კანონის დარღვევა მხოლოდ იშვიათი პატოლოგიური (ავათმყოფური) მოვლენაა; პირიქით, როდესაც კანონები თავის შინაარსით ხალხის თვით შეგნებას ეწინააღმდეგება, მაშინ კანონიერების გრძნობა აუცილებლივ ირღვევა და ქვეყნიდ მყუდროების ნაცვლად მყარდება უწესოება, ინარქია ბოროტ-მოქმედება, ცარცვა-გლეჯა და სხვაო".
("მეგობარი" № 1). ერთი შენიშვნა. რაც „ლამპარს“ ეყადრება, ის შეუწყნარებელია „მეგობრისთვის“. ინარქია, ბოროტ-მოქმედება და ძარცვა-გლეჯა ერთ გოდორში ჩაუყრია „მეგობარს“. მაგრამ, ესთქვათ ეგ ჩვეულებრივი lapsus linguae-ა (ენის ბორძიკია). საინტერესოა, სად და რომელ სახელმწიფო კანონები თავის შინაარსით ხალხის თვით შეგნებას არ ეწინააღმდეგებიან? დაარსდა თუ არა სახელმწიფო, იგი საკუთრების მცველად შეიქნა და მაშინადამე იმ თავითვე პყვლეფდა იმათ, ვინც მესაკუთრებს აცხოვრებდნენ. და ამიტომ კანონი არასოდეს არ იყო შეწყნარებული გაყვლეფილთა მიერ. კანონის დარღვევა არასოდეს არ ყოფილა იშვიათი პატოლოგიური (ავათმყოფური) მოვლენა, როგორც პეტრი „მეგობარს“, არამედ მუდმივი და საზოგადო.

რაკი „მეგობარი“ ასეთ მოსარჩელედ გამოვიდა

კანონიერებისა, აშკარად მის თველში ყოველივე დასაგმობი გახდა, რაც უფლებრივ ნიაღაგს არღვევს.

„თანამედროვე სახელმწიფო უფლებრივ ნიაღაგს ემყარება და ამიტომ არ შეუძლია სამოქალაქო ომი ალიაროს კონფლიქტის გადამწყვეტ საშუალებად ისე რომ თავის თავს არ ეწინააღმდეგოს, თავისუ ფლებრივად მიჩნეული ბუნება არ უარჰყოს“. ეგ აშკარაა. რა თქმა უნდა, სახელმწიფო მოქალაქობრივი ომის წინააღმდეგია. მოქალაქობრივი ომი, ლოლიკის უკანასკნელი დასკვნამდე განვითარებული, ხომ იგივე კლისთა ბრძოლაა და ეგ ბრძოლა მესაკუთრეთა და მის მცველის სახელმწიფოს დამარტებით გათავდება. ამიტომ ადვილად გასაგებია სახელმწიფოსშიში სამოქალაქო ომის წინაშე. ხოლო სრულიად არ გვესმის, საიდან დაებადა ამ გვარი ვე გრძნობა, „მეგობარს“. „სამოქალაქო ომი როგორც ყოველი ომი ყოვლის უწინარეს განადგურების მომასწავებელია, ამბობს გაზეთი, განადგურება კი შეუძლებელია სასურველი იყოს ან კანონმდებელთათვის ან კანონის აღმასრულებელთათვის“. შენთვის კი „მეგობარო“, სასურველია იგი თუ არა?....

„მეგობარი“ იკვლევს იმ გვარ საზოგადოებრივ ფორმას, რომელიც თავისუფლებას არ ზღუდავს და პიროვნების განვითარებას ხელს უწყობს. ამ საგანს შეეხება ამხ. იგივე თავის წერილებში. ავტორის აზრით ძალ-დატანება და პიროვნების შე-

ზღუდვა იქიდან წარმოსდგა, როდესაც მართველობა დაშორდა საზოგადოებას. „საზოგადოების და მართველობის დაშორებას თან ჰყვებოდა მონობა, ძალ-დატანება, თავისუფლების შეზღუდვა, („მეგობარი“ № 12) ამბობს იგივე. ასე რომ, ნორმალურ მდგომარეობის დამყარებისათვის საკიროა საზოგადოების და მართველობის გაერთიანებათ“. მაგრამ ეს ასე არ არის.

საგვარეულო წესწყობილებაში, როდესაც ჯერ კიდევ სახელმწიფო არ არსებობდა, არც მართველობა იყო. მაშასადამე, იგი ვერც საზოგადოებას დაშორდებოდა. მართველობა შექმნილი იყო სახელმწიფოს მიერ. მართველობას განსაკუთრებული ფუნქციები აქვს. იგი ყოველთვის იძულების ხასიათის მართველობა არა ჰყავდა. ამიტომ სკულება იგივე, როდესაც ამბობს: „სადაც მთავრობა გახდა ცენტრალური, იქ არ არის თავისუფლებათ“. (იქვე). არც იქ არის თავისუფლება, სადაც მთავრობა დაახლოვებულია საზოგადოებისთან, ან კიდევ სადაც პოლიტიკური უფლება ხალხის ხელშია. უფლობა (власть) უფლობაა და ვის ხელშიაც იყოს, იგი ზღუდვას თავისუფლებას. ამხ. იგივე სურს, რომ, უფლობა პირდაპირ ხალხის ხელში გადავიდეს. „საკიროა ხალხის პირდაპირი მონაწილეობა, პირდაპირი მართველობა, ეს კი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა უფლობა დანა-

წილებულია, მართველობა კი არ წარმოადგენს ერთს განუყოფელს ერთეულს, არამედ შეადგენს თვითმართველ ერთეულობის კავშირსაც". (იქვე). ეგ ხომ შვეიცარიის ტიპის სახელმწიფოა! ეგ ხომ რეფერენცუმის აპოლოგიაა (ქებაა)! მაგრამ დახე მუხთლობას! სადაც ხალხი სცემს კანონებს და სადაც მართველობაც ხალ ხოსნურია, შვეიცარიაში, ხშირად მომხდარა, რომ რეფერენცუმის საშუალებით პროგრესიული ხასიათის კანონები უარ უყვიათ. ფედერალური რეფერენცუმი 1875 წლიდამ მოქმედობს. ამ დროიდებან დეპლუაჟის ცნობებით ხალხში მიიღო და უარპყო შემდეგი კანონები. პოლიტიკურ უფლებათა შეზღუდვის შესახებ კანონს მომხრე 202,583 ხმა აღმოუჩნდა, ხოლო წინააღმდეგი მარტო 207,263 ხმა. სიკედილით დასჯის კანონს მომხრე აღმოუჩნდა 200,485, წინააღმდეგი კი 181,588 და კანონი გაიყვანეს. 1882 წ. სკოლა დაექვემდებარა საერთო მართველობას, ცველა სარწმუნოების ყმაწვილებს შეეძლოთ სკოლაში მიეღოთ სწავლა ისე, რომ მათ სარწმუნოებას ირავინ უნდა შექხებოდა. კანტონები ამას არ ასრულებდნენ. საქირო იყო სკოლების რევიზია და დაინიშნა განათლების მინისტრის თანამდებობა. კათოლიკენი და პროტესტანტები შეფაცურდნენ, საქმე რეფერენცუმამდე მიიყვანეს და რევიზიის საჭიროება უარპყვეს. 1891 წელს რეფერენცუმის საშუალებით დამტკიცეს სადამოენო ტარიფი, რომელიც



პროლეტარიატისათვის ყოველთვის მავნებელია.

1894 წელს ფედერატიულ საბჭოს უნდა მიჰნიქე-
ბოდა უფლები მუშათა ორგანიზაციების დაკანო-
ნების შესახებ. სოციალიზმის მტრებს შეემინდათ
და რეფერენდუმის საშუალებით უარპყვეს კანონი
და სხ. და სხვა... *) ხალხური მართველობაც ამი-
სთანა უნდა! იკითხავთ, რა მიზეზია, რომ ეგ ასე
ხდება? რა მიზეზია, რომ ხალხური მართველობა
ამისთანა რეაქციონურია? მიზეზს სოციალურ წყო-
ბილებაში უნდა ვეძებდეთ. ზანამ ეგონომიური
უთანასწორობაა გამოვიშული, არავითარი ჩეფე-
რენდუმი ზალში უძედურებიდან ვერ იჩნია, პირ-
იქით, რეფერენდუმიც ზღება იარაღად შევიწროვებისა
და დაჩაგვრისა. ზოლო, როცა ეგონომიური უთანა-
სწორობა მოისპობა, წარმოება და მოზრარება ზა-
ზოგადო განდება, ზაშინ არც რეფერენდუმია ზაქირო.
უფლობა, ცენტრალისტურია იგი, თუ დეცენტა-
ლისტური, გაერთიანებული თუ დანაწილებული,
ძალმომრეობას პბადებს. რადგან მისი ბუნება ყვე-
ლგან და ყოველს შემთხვევაში იძულებითი ხასი-
ათისაა.

საგვარეულო წყობილებაში ყველანი თანა-
სწორ ეკონომიურ პირობებში სცხოვრობენ. ინდი-
ვიდუალურ საკუთრებას ჯერ ადგილი არა აქვს.

*) იხ. A. I. Лоуэлль—Правительства и полити-
ческия партии стр. 410—411.

ხალხი ჩვეულების მიხედვით სცხოვრობს. ამ ჩვეულებას არავითარი იძულებითი ხასიათი არა აქვს; ჯერ ერთი იძიტომ, რომ ჩვეულება ეთანხმება გვარისეულთა თვალთასაზრისს და იგი თვით გვარშივე ისახება და მუშავდება; გარდა ამისა, ჩვეულება აწესრიგებს იმ აღამიანთა ცხოვრებას, რომელნიც თანასწორ სოციალურ პირობებში იმყოფებიან. პოლიტიკურ საზოგადოებაში გარემოება იცვლება. იქ საკუთრება და ინტერესთა უთანასწორობა ჩნდება. კანონს იძულებითი ხასიათი ეძლევა: იგი ძლიერთათვის სასარგებლოა, ღარიბთათვის საზიანო. ხოლო ორთავეთათვის კი სავალდებულოა. აშენავა იგი ყველას მიერ (ე. ი. ვისთვისაც საზიანო) შეწყნარებული არასოდეს არ იქნება.

მაგრამ „მეგობარი“ სხვანაირად სჯის. პროფესიონალურმა კიბირებმა თან და თან ხელში უნდა ჩაიგდონ სახელმწიფოებრივი ფუნქციები... როდესაც დამყარდება მუშა ხალხის ბატონობათ და სხვა („მეგობარი“ № 24). ერთის სიტყვით, სოციალდემოკრატიულ პანგების გამეორებაა. იქ „პროლეტარიატის დიქტატურა“, აქ „ხალხის ბატონობაა“. ავიწყდება „მეგობარს“, რომ საცა დიქტატურა, ან ბატონობაა, იქ მონობაც უნდა იყოს. მონობაზე კი პლატონიაშენებდა თავის „რესპუბლიკას“. თანამედროვე სოციალისტი კი ამას ვერ შეიწყნარებს. მაგრამ რა! სახელმწიფოებრივ ცრუმორწმუნეობას ჯერ კიდევ დიდი ძალა ჰქონია აღამიანთა გონება-



Շո. „Խալքեմու գանցրոյս զոնասրոյն, ծյջու զար-
հցունութ Շեմուսոլու տացու մռակցուցքն. Խալքի ցուլու-
սոյն պէտքած դա Ծերութունու սանլուրցն թլու-
ծա, թօքրամ պայցը մուս համցըն ծարուն-մթարուցը լուս
Ռոնանց յուսերի թանց ունակութ. մոյլուլու ծարունու
Ռոնանց չպայունութա: «Ճաշիարչուն ծարունի! լմբրու
մկանարու ոյս, եռլու ու թշելլ մռակցութ յամծո-
հցնութա սեցա լմբրուցն»...*) Ֆո, թյսմու! Ֆյուր-
ծոյրցն թօմթենմացու համ գառնութա, սառատենուրու, սա-
լուց լաքարայութեն տացուսպայլուցն նյուրայցն թյ գո
Յուրուցն եղու եղլ Շյունելուցն սայնուցն թյ. զուս
առ յանուայցն, թյու ոմ դրու, հուրա սացուն եցա-
լունգուլու գլու ոմքու առա պյաս, հուրա ալամունուն
սուրութլու յանսութլուն, հուրա Ռուցու նյնանց-
նե! Ֆո, հա ոյմա նշնութա, Յառլամյեն բալուրու հյումու
նյուրայցն ուսեցնա թուրութա! Ըստ, Շյոնաթոն
ոլունչուցն, զուսաց ամ նասուտուն ոլունչուցն Շյուից-
նու! հայեն Ռոնանց յու գլուց և սուլլ սեցա յանու սայ-
մե դա սուրութցն ուսեցնա...

ՏԱՅՈ V.

„Թասալյենու!“ Պուլուսույրու դա Սովորույրու
„Ժոմթեալու!“.

Եղլնու յայուրացն սայսրագլուցն լոյսմյեն Ռյ-
նու, որու Յուրայի Յարուսու Յուրայի Յուրայի Յուրայի Յուրայի
լու Յուրայի Յուրայի Յուրայի Յուրայի Յուրայի Յուրայի Յուրայի

*) Fernand Pelloutier par Uictor Dave.

ჩვენ აქ ირა გვსურდა ლაპარაკის წამოგდება სოციოლოგიური და ფილოსოფიური კითხვების შესახებ. ამ კითხვათა ნიადაგზე არ მოხდა პარტიაში განხეთქილება. საკამათო საგნიდ გახდა უფრო პრა-კტიკული და ცხოვრების პირობების მიერ შექნი-ლი და წირმოშობილი კითხვა.

მაგრამ ჩვენ იძულებული ვართ წინააღმდელი განზრახვა შევსცვალოთ. მეორე პროექტის, „გამგე პრინციპების“ წინააღმდეგ მიმართული კრიტიკის-განხილვა მით ხდება საყურადღებო, რომ სოცია-ლისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთი ნაწილის აზრის დაქსაქსულობა, გამოურკვევლობა და ბუნ-დოვანობა სოციოლოგიურ და ფილოსოფიურ კითხვათა ფარგალში ფრიად თვალსაჩინოა. ¹⁾)

მეორე პროექტის „გამგე პრინციპების“ მუხლ და მუხლ დაცვას ჩვენ არ ვკისრულობთ. ავტორს მოკლე ფორმულებში აქვს გამოთქმული თავისი აზ-რები. მას არ უკისრია მათი ვრცელი დასაბუთება, ეგ კი საჭირო იყო, რადგან ჩვენებურ ხათაბალა პუბლიცისტებს თუ ყოველივე არ დაუღევე და ნათლად არ აუბსენი, ათასგვარ ხრის მოგდება. და წამოგედავება ყოველ წინადადების და სიტყვის გამო. და წამოგედავება ისეთი მეცნიერულის კი-ლოთი, ისეთის ოლივიური ხასიათის მედიდურო-ბით, რომ თუ გაფრთხილებით არა ხარ, პირეელ

¹⁾) ვისაც ეგ საგანი არ აინტერესებს, შეუძლია განა-გრძოს კითხვა შემდეგ თავიდამ, სადაც ვეხები სადათ საგანს.



შეხედვით, დავთრებსაც კი დაგიძნევს. „გამგე პრინციპების“ კრიტიკოსი სწორეთ მნიშვნია. ჩვენ ამითი მისი თქმა არ გვინდა, რომ „გამგე პრინციპები“ ყოველ მხრივ და სავსეათ უნაკლოლო პრინციპებად მიგვაჩნდეს. რადგან ავტორი არ უკისრია ვრცლად დასაბუთება, თავის ფილოსოფიურ თვეობ-საზრისის, ამიტომც აქა-იქ გამოსკვრებს საბუთის უქონლობა და აზრის წინააღმდეგობა. მაგრამ ამ წინააღმდეგობის გაზვიადებაც არ ვარგა, რადგან იგი შედევია მოკლე ფორმულების ნაკლოლევანებისა და დაუსაბუთებლობისა და არა თვით აზრის უფარგისობისა. ის დავაკვირდეთ თვით საკამათო საგანს.

„გამგე პრინციპების“ ავტორი დგას შეცნიერულ ნიადაგზე და აღიარებს შეცნიერების მიერ შემუშავებულ ფორმულებს. მისი კრიტიკოსი დევბა მეტაფიზიკურს საფუძველზე და შეცნიერებას მეტაფიზიკის არგუმენტებით ეკამათება. ამგვარი ხასიათის კამათი საუკუნოების განმავლობაში სწარმოებლა ფილოსოფოსთა შორის და ბევრიც არაფერი მოუგია კაცოპრიობას ამ ხასიათის კამათისაგან. პირველი „გამგე პრინციპი“ უარ-ჰყოფს ბუნების გარეშე მდგარ პირველ მიზეზს, ძალის და აღიარებს მოვლენათა მიზეზობრივ კავშირს. რა ითქმის ამის წინააღმდეგ? არაფერი. მართლაც, მას შემდეგ, რაც ევოლიუციონურმა თეორიამ ძირი გაუთხარა თეოლოგიას, მას შემდეგ, რაც სიცოცხლის დამახასია-

თებელ თვისებად „განვითარება“ იქნა აღიარებული, მას შემდეგ, რაც გაჩენის, შემოქმედის აზრი დამხომილ იქნა, „პირველ მიზეზს“ შეცნიერებაში აღარავინ იხსენიებს. „ფინალიზმი“ დამარხა შეცნიერებამ და მოკლენათა სამეფოში დაამკიდრა ჯაკი მიზეზობრვი აფარისა. კანტის შემდეგ, რომელმაც დაამსრ დოგიტიური მეტაფიზიკა და გაამეფა კრიტიკიზმი და პოზიტივიზმი ცოდნის ფარგლები, კანტის შემდეგ პოზიტივიზმის სკოლა და ბუნების შეცნიერება ამ გზას ადგია. „გამგე პრინციპების“ მოპირდაპირე კრიტიკოსი კი იგონებს მეტაფიზიკის არგუმენტებს და თუმცა თავის თავს მეტაფიზიკოსად არ აღიარებს, შეცნიერებას მაინც მეტაფიზიკის იარაღით ყომება.

პირველ მუხლში ვკითხულობთ: „ბუნებას არც
დასაწყისი აქვს, არა დასახრული, არაფითარი პირვე-
ლი მიზეზი არ განაგებს ბუნების არსებას“... ამის
შინააღმდეგ კრიტიკოსი ბრძანებს: „თუ ბუნებას
დროის მხრივ საზღვარი აქვს, თუ იყო ისეთი დრო,
როცა ბუნება არ არსებოდა, ეს უკანასკნელი რი-
საგანმე უნდა წარმომდგარიყო, რაიმე მიზეზს უნ-
და ვამოეწვია იმისი წარმოშობვა და რადგან შეუ-
ძლებელია წარმომშობი მიზეზი და წარმოშობილი
ფაქტი ერთი და იგივე იყოს, ცხადია, რომ ეს მი-
ზეზი რაღაც ბუნების გარეშე არსებული ძალა უნ-
და იყოსო“. მოიგონეთ დოგმატიურ ფილოსოფი-
ის აზროვნება და დარწმუნდებით, რომ კრიტიკოსს

ոյնօք այլու տացուս արցոյմենքը ծո. ուշմբա „գամ-
 ց Ֆրոնցիքենս“ այժմորո նատլատ ամեռած—ծոնց-
 ծա արց ճասանցուս այս, արց ճասասրուլո, — յուն-
 դուկուս յո Ֆրոնս, հոմ ծոնցենս ցարեց մարտ
 ճալուս յարուղու ծոնցենս ցանսանցը լուլուց թո-
 սից այցենս. Տայմե ուս արու, հոմ յունդուկուս յար-
 ուղու և իննանցար ալուարենս ուս անրու, հոմ որու
 սամեցու արսենած—յուն լուրուս և Տոյրկուս յար-
 ցալնո, մյունց յո օմուս ցալալմա. ամունմաւ պայուն-
 ցենս թաս ուս անրու, հոմ ծոնցենս ցանսանցը լու-
 րուցուս և Տոյրկուս թերոց. ա՛յարա, թաս Տչերա,
 հոմ լուրուս և Տոյրկուս ոյնուաւ արսենած հո-
 ւուց մալո. հոմ յուս այս, ամաս ցայտանցենս ուզու-
 յունդուկուսու. „ծոնցենս, հոմլուս նուզըսաւ ուզու-
 յունցենս Մյացընս, ամեռած օցո, — յուս ուսետու լունցենս
 հոմլուսաւ արացուարու Մինաարու ահա օյցեսո.“ ա՛յ-
 յարա, ծոնցենս սանցարնեց հոմ համեյ „Ֆորվելո
 մոնցիո“ պողոլուսու, ցամիենո լմերու հոմ մոցա-
 րուսո, թամին ոյնենած ճամշերուց յուլու յունդուկո-
 սո, յելու յո թաս ցուլս սկլացս ուս ցարեմուցենս,
 հոմ աճամունուս լուրուս արացուարու Ֆարուսուս լունց
 ահա օյցես օմուսալմո, հուց մոցլունատ ոյնու
 յունանցենս մերայունոյուր անրունցենս. „ցամցց Ֆրոն-
 ցիքենս“ Ֆորվելու մուելու ցայտանցենս—„Ֆորվելո
 մոնցիո“ ուսետու յուտեցա, հոմլուսու արացուար լուն-
 ցենս և լուրուսու ցարնոն առ Մյեւս—ուս անդրույց-
 նոյրուլուսու. յունդուկուսու ալ Մյուույց յուլուսո. հոգուր

თუ არა მეცნიერულია? ბუნების „პირველ მიზეზ-ზე“, ბუნების გარეშე ძალაზე ამოდენა ფალოსო-ფოსებს უფიქრნიათ და რა ღასაჯერებელი ხაქმა, რომ ცოდნა საშუალებას არ გვაძლევს ამ საგნის შესახებ ისეთივე მკაფიო აზრი ვიქონიოთ, რა აზ-რიცა გვაქვს, ესთქვათ, მოხარშულ კალმახისა და შემწვარ გოჭის შესახებ.— „პირველი მიზეზი“ ან-ტიმეცნიერული და მეტაფიზიკური კითხვაა.. „მაგ-რამ ეს ორგუმენტი უფრო გრძნობის და ჩვეულე-ბის ორგუმენტიათ, ინუგეშებს თავს კრიტიკოსი, ნამ-დვილი მეცნიერება ხომ ყოველთვის უფალ გამჩენის წინაშე მუხლ მოდრეკილია და ბუნებასაც და მის კანონებს ხილივს ღვთაებრივ წყალობასა და სათ-ნოების საშუალებით! „გამგე პრინციპების“ ავტორს არ აქვს ამისთანა ძვირფასი საშუალება ბუნების შეგ-ნებისა, ამიტომაც არის, რომ იგი ამბობს— ბუნე-ბა შეგნებულ უნდა იქმნას თვით ბუნებისა და მის მოქმედების შეგნების საშუალებითათ“. შეიძრალე, უფალო, ურწმუნო მონა შენი!..

ი ამ ნიადაგზე შედგა კრიტიკოსი. და როცა შესტოპა, ცოტა არ იყოს შეფრთხა და დაიწყო რწმუნება, არ გეგონოთ მეტაფიზიკოსი ვარ, ქვე-მოდ დაინახავთ, რომ რასაც ვლაპარაკობო მეცნი-ერულის სიყვარულით ვლაპარაკობო. დალოცვი-ლო, თუ მეტაფიზიკოსი არა ხარ, მის არგუმენტებს რად ხმარობ, და თუ მეცნიერებით ხარ გამსკვალუ-ლი, რატომ არ მოიწონე ის, რაც სწორეთ რომ

მოსაწონიც არის მეცნიერების მხრივ. მაგრამ საქ-
 მე იმაში არ არის. კრიტიკოსს ერთად ერთი საზ-
 რუნავი აქვს. მეორე პროექტს სახელი უნდა გთუ-
 ტებოს. თუ ამისათვის საჭიროა უზენაესი არსის
 დახმარება, იგი უზენაესს არსაც შეევეღრება და მის
 მფარველობასაც ლოცვა-კურთხევით გამოითხოვს.

პირველ მუხლში ვკითხულობთ: — მთელი სამ-
 ყარო... წარმოადგენს ერთ განუწყვეტილ სერიას
 მიზეზთა და შედეგთა, სხვა და სხვა ენერგიათა
 ურთი-ერთობას, დამოკიდებულებას და ზედმოქმე-
 დებასო. კრიტიკოსს ეგ აზრიც ეუცხოვა. — აქ მი-
 ზეზისა და შედეგის ურთი-ერთობის გვერდით, ამ-
 ბობს იგი, კონტრაბანდათ შეპარებულია ენერგია-
 თა ურთი-ერთობა, თითქოს მაზეზის და შედეგის
 ურთი-ერთობა იგივე იყოს, რაც ენერგიათა ურ-
 თი-ერთობა. მაშ არ იცოდით, ბატონო, რომ ბუ-
 ნებაში ენერგიანი არსებობენ და მხოლოდ ენერ-
 გიანი, და რომ ყოველი ფიზიკური, ქიმიური, თუ
 ბიოლოგიური პროცესი ენერგიათა გარდაქმანი
 არიან. გიკვირთ, რომ ენერგიათა ურთი-ერთობა
 იგივეა, რაც მიზეზთა და შედეგთა ურთი-ერთობა.
 და საკვირველიც არ არის თქვენი გაკვირვება, რად-
 გან თქვენს თვალში მოვლენათა მიზეზი მოვლენა-
 თა გარეშე იმყოფება. ამიტომაც არის, რომ თქვენს
 თვალში მეცნიერება ვერ აღსნის მიზეზთა და შე-
 დეგთა ურთი-ერთობას. თქვენ ამბობთ — იმისი თქმა,
 რომ მიზეზთა და შედეგთა ურთი-ერთობა უნდა
 აღსნილ, შეგნებულ, და განმარტებულ იქმნას,

პირდაპირი მოწოდებაა მეტაფიზიკისაკენ. ენერგე-
ტიკაზე მეტი წარმოდგენა რომ გქონოდათ, ასე
ადვილად მეცნიერების ღალატს არ დასწავებდით
“გამგე პრინციპების” აფტორს.

ვანეაგრძოთ. მეორე მუხლი ინდუქცია—დე-
დუქციაზე გვესაუბრება:—ეს მეორი წარმოადგენს
უდიდესს და უძლიერესს იარაღს ადამიანის გონებ-
რივ სიძლიერისას და მართლაც ის სათავეში უდ-
გას თანამედროვე მეცნიერების განვითარებასო. ამა-
ზე კრიტიკოსი კრიტიკოსობს—არც ინდუქცია—დე-
უქცია, არც ლოლიკის სხვა რომელიმე კანონი მსოფლ-
მხედველობის დამახასიათებელი არ შეიძლება იყო-
სო.— და ვინ გეუბნებათ, რომ ინდუქცია—დედუ-
ქცია მსოფლ-მხედველობის დამახასიათებელი რამ
არის? მეორე მუხლი მეორიდის შესახებ გე-
ლაპარაკებათ და ნუ აწერთ იმას, რაც შიგ არ
სწერია. ლიტერატურული ეთიკა მოითხოვს მას. შეორევე მუხლში სწერია—ინდუქცია—დედუქციის
დიდი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ ის აზ-
როვნებას ცდაზე, ფაქტებისა და მოვლენათა ურ-
თა-ერთობის ანალისზედ იმყარებსო. პოზიტივისტს
რა ეთქმის ამის წინააღმდეგ?—არაფერი. კრიტი-
კოსი კი მეტაფიზიკოსობს და ამბობს—ცდაზე კი
არ არის დამყარებული აზროვნება, ცდა აზროვნე-
ბის საგანი და საჩბიეროია. რა თქმა უნდა, ცდა-
ზე დამყარებულ აზროვნებას ღირსებას ახდის ის
ადამიანი, რომელსაც ცოდნა უშუამზვლოდ, ცდის



დამოუკიდებლად, ზეგარდმო არსისაგან თავში აქვს
ჩანერგილი!

მესამე და მეოთხე მუხლის შესახებ კრიტიკას არაფერი აქვს სათქმელი. სამაგიეროდ მისი წყრომა მიმართულია მეხუთე მუხლის წინააღმდეგ. ამ მუხლში ვკითხულობთ: — ყოველი ცოდნა ნაყოფია ობიექტისა და სუბიექტის, წრისა და ინდივიდის ურთისერთ — მოქმედებისა-ცდისა, რომელიც იცვლება და ვითარდება განუწყვეტლივ და იმდენად, რამდენადაც იცვლება და ვითარდება ურთიერთობა, რომლისგანაც ცდა წარმოსდგება. თვით ურთისერთობა კი იცვლება და ვითარდება იმ გვარადვე, რა გვარადაც იცვლება და ვითარდება ურთიერთობის პირობები: წრედა ინდივიდუუმი, მაშასადამე, ცოდნა იცვლება და ვითარდება განუწყვეტლივო. ამა თუ გამოიცნობს მკითხველი, რას სწავებს ამ სიტყვების გამო კრიტიკასი პროექტის ავტორს? იშას, რომ იგი „ცოდნის სიმტკიცეს უარ ჰყოფს,“ „ამცირებს ცოდნას და მაშასადამე მეცნიერებასაც.“ ამ საყველურში გადაწნულია ერთი სამწერლო გულწრფელობის უქონლობა მეტაფიზიკურ აზროვნების გოდებასთან. მეხუთე მუხლში სიტყვაც არ არის დაძრული ცოდნის სარწმუნოების თუ უწმენოების შესახებ. არა აქვს დაძრული, რაღაც ემპირიკოსისათვის ეს კითხვა არც კი არსებობს. ემპირიკოსი აბსოლიტურ ცოდნას არ ეძებს, იგი ავარჯიშებს თავის გონებას მოვლენათა ფარგალში



და მის ცოდნასაც ფენომენალურ სინამდვილის ანუ სარწმუნოების ხასიათი აქვს. გაშ რაღას უსაყვედურებს კრიტიკოსი? აშკარაა, ან მას აქვს სურვილი ათქმევინოს პროცეტის ავტორს ის, რაც მას არ უთქვამს და ამ შემთხვევაში სამწერლო ეთიკა ილახება, ან კიდევა კრიტიკოსი დაეძებს აბსრლი-ტიურ ცოდნას და მისი საყვედური მეტაფიზიკური ტვინის ნაყოფია. ეს უკანასკნელი მოსაზრება უფრო სიმართლესთან ახლოა, რო დავაკვირდეთ კრიტიკოსის მსჯელობას.

ის ამბობს:—მეცნიერების მოტრუფიალე პროექტი ცოდნის ცვალებადობას ხაზს უსვამს და მით იმის სარწმუნოებას უარყოფს. ამისი მიზეზი ისაა, რომ პროექტს ჰსურს მეცნიერება ისეთს საგანზე აალა-პარაკოს, რომელიც მეცნიერულ კვლევა-ძიების გა-რეშე იმყოფება. ხომ ხედავთ, ცოდნის ცვალება-დობა ოღულოთებს კრიტიკოსს. მას თურმე ამის გა-მო ეკარგება სარწმუნო ხასიათი. იგი, რომ უც-ვლელი და შეურჩეველი ყოფილიყო ლვთაებრივ მხილებასავით, გაშინ ექნებოდა მას სარწმუნო და უტყუარი ნასიათი. პროექტს კი სურს მეც-ნიერების საშუალებით ამ საგნის შესახებ მსჯელობა. იგი კი მეცნიერულ კვლევა ძიების გარეშე იმ ყოფება და მისი ტახტი, აშკარაა, სასუფეველსა შინაა დამდგარი...

კრიტიკოსის უველა არგუმენტების განხილვას ჩვენ არ შეუდგებით, უსაფუძვლო საქმეა. საკმარის

სია აღნიშვნა ზოგიერთ საპოლეფეო ნიმუშებისა, რათა ვიქონიოთ წარმოდგენა კრიტიკის საზოგადო ხასიათზე. ხოლო ამ კრიტიკის ხასიათი უფრო თვალსაჩინო გახდება ჩვენთვის, როდესაც განვიხილავთ მის შეხედულებას სოციოლოგიურ კითხვების შესახებ. მაგრამ თავდაპირველად მეითხველის ყურადღება იმაზე უნდა მივაჭიოთ, რომ კრიტიკოსს ტყუილების თქმაც ჰყვარებია ზოგიერთ შემთხვევაში. ადვილად შესაძლებელია, რომ ტყუილების თქმის უნარი გაუგებრობის და აზრის სისუსტისაგან წარმოსდგება. ასეა თუ ისე, ტყუილი მაინც ტყუილად რჩება. აი, მაგალითად, კრიტიკოსი გვეუბნება: „პროეკტი სიტყვის ფილოსოფია იმავ აზრით ხმარობს, როგორც მეტაფიზიკას“. ბევრი ვეძებე, მაგრამ ვერსად ვერ ვნახე, რომ ავტორს ამგვარი დანაშაულობა ჩაედინოს. ბოლოს გამოირკვა, რომ თითონ კრიტიკოსს ჰგონია, რომ ფილოსოფია და მეტაფიზიკა ერთი და იგივე ყოფილა. ყური დაუგდეთ. იგი სწერს: — თუმცა პროექტიმა უკვე რამდენჯერმე გვაუწყა და შემდეგ კიდევ ხშირად მოგვაგონებს, რომ მეცნიერება და მეტაფიზიკა ერთი მეორეს უარყოფააო, მაგრამ იმას მაინც შესაძლოდ მიაჩნია ისტორიის ფილოსოფია, ე. ი. იგივე მეტაფიზიკა თავის უარყოფელ მეცნიერებაზე დაეყყიაროს. როგორ შეიძლება, რომ „ნამდვილმა მეცნიერებამ“ თავის საკუთარ ზურგზე ფილოსოფია შეისვას, ის ფილოსოფია, რომელიც

თვით მეცნიერების უარყოფაათ. ისტორიის ფილო-
 სოფია მეტაფიზიკაათ. ნამდვილი მეცნიერება თავის
 ზურგზე ფილოსოფიას ვერ შეისვამსო. საკუთარი ცო-
 დვა სხვისთვის. მიუწერია. ჩვენ აქ დრო არა გვაქვს
 დაუმტკიცოთ კრიტიკოსს, რომ მას მრუდე შეხედუ-
 ლება შეუმუშავებია მეცნიერებისა და ფილოსო-
 ფიის ურთიერთობის შესახებ. მიკმართოს ამ ხავ-
 ნის გამოსარკვევად „სამეცნიერო ფილოსოფიის
 პიბლიოთეკას“, რომელიც ამ ეამად გიუსტავ ლე-
 ბონის ხელმძღვანელობით გამოდის საფრანგეთში
 და იქიდან გაიგებს, რომ ფილოსოფია შესკუპული
 კიდევაც მეცნიერების ზურგზე და მეცნიერებას-
 თან ერთად მოგზაურობს იმისთანა სამეცნიეროში,
 სადაც უეხი ვერ გაუდგავს ჩვენს შინ-მჯდომას კრი-
 ტიკოსს.

მაგრამ იმდენი იცოდვილია კრიტიკოსმა, იმ-
 დენი ეცადა, იმდენი სჩერიკა თავის მოპირდაპირე
 კაცის აზრებში; ისეთი მხნე გამომძიებლობა მოახ-
 დინა ამ აზრებისა, რომ ბოლოს, როგორც იყო,
 გამონახა ერთი შეცდომა—შეცდომა, რომელიც
 უფრო ტერმინოლოგიის განუსაზღვრელობისაგან.
 წარმოსდგება, ვიდრე აზრის უკულმართობისაგან.
 კრიტიკოს—მეტაფიზიკოსმა „გამგე პრინციპების“ ავ-
 ტორი ვითამდა მეტაფიზიკის მოტრფიალებაში დაიჭი-
 რა. წაუკითხა ლექცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა
 იწერებოდეს ისტორია და რა შეცდომას სწავლის
 სოციოლოგი, როდესაც ის ისტორიულ პროცესის

განმარტებაში „მომქმედ ძალებსა“ და „ფაქტორებზე“ ლაპარაკობს. მართლაც, მეექვსე მუხლში, სხვა-
 თა შორის, სწერია: — „ისტორია სხვა-და-სხვა ძალ-
 თა და მიზეზთა მოქმედების შედეგია, ის ათასგვარ
 მეტის-მეტ პატარა ოდნობათ ერთი საზოგადო ინ-
 ტეგრალია“. და აი ამის გამო განვაშა სცემს კრი-
 ტიკოსი, ხრის და სიხარულით ამბობს: „რა არის
 ეს „მომქმედი ძალა“, თუ არ მეტაფიზიკური ცნე-
 ბა? რა არის ეს „მომქმედი მიზეზი“, თუ არ მე-
 ტაფიზიკური დასაწყისი არსებობისა და ისტორი-
 ისა?“ მაგრამ, ნუ რას უკაცრავად, ხოლო სიმარ-
 თლე გვაიძულებს ცოტა არ იყოს გავანელოთ კრი-
 ტიკოსის სიხარული და დავარწმუნოთ, რომ იგი
 შეცდომაშია შეყვანილი სიტყვებით. რაც შეეხება
 მეექვსე მუხლში გატარებულ აზრებს, იქ სინიდისი-
 ერი მკითხველი ვერ ჰპოვებს არც „პირველ მიზეზის,“
 „არც „პირველ ფაქტორის“, არც, „მეტაფიზიკურ
 მომქმედ ძალის“ მცნებათ. წაიკითხეთ შემდეგი აღ-
 გილი და თქვენვე დარწმუნდებით ამაში. — „ინ-
 დუქტია-დელუქტია... ისტორიაში მომქმედ ძალებს
 იმისთვის კი არ აცალკევებს სხვა-და-სხვა ფაქტო-
 რებად, რომ შემდეგ მათ შორის რაღაც უსაფუძ-
 ვლო და მიუხდენელი იერებრქია დამყაროს, არა-
 მედ იმისათვის, რომ გამოარკვიოს სისრულით მნიშ-
 ვნელობა ყველა მომქმედ ძალთა და მიზეზთა“... აშეა-
 რაა, აქ უბრალო ისტორიულ შოგლენებზეა ლაპარაკი
 და სხვა არაფერზე. რომ ეს ასეა, რომ მეექვსე მუხ-



ლი ფაქტორებს და ძალებს იმ მნიშვნელობით პი-
ხმარობს, რა მნიშვნელობასაც აწერს მათ კრიტი-
კოსი, ეგ უტყუვრათ მტკიცდება ამავე მუხლში გა-
ტარებულ შემდეგის სიტყვებით— „ისტორიის ფი-
ლოსოფია მხოლოდ მაშინ დადგება, როცა ის
უკუაგდებს ყოველგვარ ფეტიშიზმს, როცა ის ისტო-
რიულ განვითარების პირველ მიზეზის ძებნას მია-
ნებებს თავს. როგორც ფილოსოფიაში და მეცნი-
ერებაში, საზოგადოთ ისე ისტორიაში პირველ მი-
ზეზის დამყარების ცდა არა-მეცნიერული, ჟეტა-
ფიზიკური ცდაა.“ მაში ეგ სიტყვები წაიკით-
ხეთ, რაღაც ფართი ფურთობთ, ბატონო ჩემო, რა-
ღაც ოხუნჯობთ და ამბობთ, რომ მეტაფიზიკის
წარმტაცმა „თილისმამ“ ალიარებინა მას „მომქმედ
ძალების“ რეალური არსებობაო!“ ეხლა თქვენც თი-
თონ დარწმუნდებოდით, რომ სიფიცხემ უსამართ-
ლობა გათქმევინათ.

„გამგე პრინციპების“ მეცხრე მუხლში ვკით-
ხულობთ: „ყველა ადამიანთა საზოგადოებაში—იმ
ველურ საზოგადოებათა გამორიცხვით, რომელნიც
დღემდის პირველ ყოფილ მდგომარეობაში დარჩე-
ნილან—განვითარება ინდივიდთა და ჯგუფთა შო-
რის, წრის ზეპა-და-ზეპაობის ზეგავლენით არა თა-
ნაბრულად ხდებოდა. ამის შედეგად შეიქნა საზო-
გადოების კლასებად და კასტებად განხეთქაო“ ჩვენ
პირადად არ გვაკმაყოფილებს ამ გვარი განმარტე-
ბა კლასთა ბრძოლის წარმოშობებისა, მას დასაბუ-

თება აკლია. მიუხედავად ამისა, ჩვენ მხარს ვერ მივ-
 ცემთ კრიტიკოსს, რომელმაც მოწინააღმდეგის
 დამტკრებისათვის სრულიად დაამახინჯა შისი აზრი.
 იგი ამბობს: „წრის სხვა და სხვაობის გავლენა
 ადამიანზედ არსად ისე ძლიერი და განსხვავებული
 არ უნდა იყოს, როგორც ჩრდილოეთის ცივ ად-
 გილებში, ერთის მხრივ, და ეკვატორის მახლობ-
 ლად, მეორეს მხრივ. პროექტის „ისტორიული კა-
 ნონი“ რომ მართალი იყოს, ჩრდილოეთში და ეკ-
 ვატორის მახლობლად მცხოვრები ადამიანები უკი-
 დურეს მოწინააღმდეგე კლასებს უნდა წარმოად-
 გენდნენ, მაგრამ... ისტორია ბოდიშს იხდის ჩვენი
 პროექტის წინაშე, რომ იმის კანონებს არ ემორ-
 ჩილება და სხვა გზაზე დაიირება“. შეადარეთ ეგ-
 ორი ადგილი და დარწმუნდებით, რომ პროექტის
 აზრი სისწორით არ არის მოყვანილი. პროექტი
 არ ამბობს, ვითომ კლასთა ბრძოლა იქ აღმოჩენი-
 ლიყოს, სადაც ბუნება უფრო ძლიერად მოქმედებდა.
 იგი ლაპარაკობს მხოლოდ წრის **სხვა-და-სხვაობა-ზე**. სხვა-და-სხვაობა და ძლიერება ერთი და იგივე
 არ არის. ასე, შესაძლებელია, რომ ბუნების სხვა-
 და-სხვა წრე ძლიერად არ მოქმედებდეს ადამიანზე,
 მხოლოდ სხვადა-სხვაობის გამო. საზოგადოებრივ
 სხვა-და-სხვა ტიპებს წარმოშობდეს. ნეფსით თუ
 უნებლიერი ამ გარემოებისათვის კრიტიკოსს ყურა-
 დლება არ მიუქცევია.

იმავე მეცხრე მუხლში ვკითხულობთ: „საზო-



გადოების კლასებიდ და კასტებად დაყოფის მოსა-
დევს შედევგათ დარღვევა საზოგადოებრივ ექვილი-
ბრიუმისა. ამიერიდან კლასთა ბრძოლის ობიექტიდ
ხდება დარღვეულ ექვილიბრიუმის თავისდა სასარ-
გებლოდ აღდგენა.“ თუ იცით, რას სწამებს ამას
გამო პროექტის ავტორს კრიტიკა? იმას, რომ იგი
ბნელეთის მოთრფიალეა და წარსულს ხდის თავის
საზოგადოებრივ იდეალიდ. კრიტიკოსი სწერს:—
მეორე „ისტორიულ კანონის“ თანახმად კაცობრი-
ობის იდეალი მომავალს კი არა, წარსულს ეკუთ-
ვნის, „დარღვეულ საზოგადოებრივ ექვილიბრიუ-
მის აღდგენა, ე. ი. განახლება და აღორძინება
იმისი, რაც წინად იყო და ეხლა აღარ არის“. სა-
ზოგადოებრივ ექვილიბრიუმის აღდგენა თურმე
წარსულის აღდგენა ყოფილა! პირველ ყოფილ
კომუნიზმის ხანაში კლასები არ არსებობდნენ, სო-
ციალიზმიც კლასების მოსპობას ცდილობს, მაშა-
სადამე, სოციალიზმი რეაქციონური მოვლენაა, რა-
ღან წარსულში! არსებულ საზოგადოებრივ ექვილიბ-
რიუმის, თანჟერ ყობილების განხორციელება სწადია!
პროგრესისტობა და სოციალისტობაც იმისთანა უნდა!

პრეკტი ე. რეკლიუს იხსენებს, როდესაც
არკვევს პიროვნების მნიშვნელობას საზოგადოებ-
რივ ევოლუციაში: „Въ индивидъ надо искать
ту силу, которая въ окружающей средѣ
перерабатывается въ волевыя представле-
нія“-თ. აქ პიროვნების მნიშვნელობაზეა ლაპარა-



კი, ხოლო პიროვნების ურთიერთობა წრესთანაც არის ნაჩვენები. კრიტიკოსი კი ამის უყურადღებოდ სტოვებს და ამბობს: „კანონი ყოველთვის ფაკტების, მოვლენების უთრიერთობათა გამოხატულებაა, აქ კი არავითარს ურთიერთობაზე კრიტიც არ არის დაძრულიო“. ამგვარ დაბრმავებას განზრახვათი ხისიათი აქვს!

ძლიერ მოგვწყინდა ამგვარი კამათი. მაგრამ იძულებული ვართ ბოლომდე მიეკუვანოთ იგი. ფილოსოფიურის მედიდურობით ისეთი უცნაური აზრებია გასაღებული, რომ გაჩუმება შეუწყინარებელია. ყური გვათხოვეთ. კრიტიკოსი პროეკტის ავტორს მარჯისტობას აბრალებს. ლაპარაკი კაპიტალიზმის დამხობაზეა. „განსაკუთრებით საინტერესო ისაა, ამბობს იგი, რომ პროეკტის აზრით ეს აუცილებლობა მახლობელ მომავალში კაპიტალიზმის სრული დამხობისა გამომდინარეობს თვით ამ წესწყობილების „შინაგან პროცესიდანო“. ე. ი. ყოველივე ობიექტიურად ადამიანის დამოუკიდებლად მოხდებათ. წაიკითხეთ მეათე მუხლი და დარწმუნდებით, რომიქ ამისთანა აზრიარ არის. იქ სწერია: „შინაგანი პროცესის ამ წესწყობილებისა დღეს ისეთია, რომ, როგორც მისი, ისე მის სამრეწველო და სააღებმიცემო სისტემის დამხობა ეჭვს გარეშეა.“ როგორც ხედავთ, აქ „შინაგან პროცესზე“ როგორც ფაქტზე და როგორც შედებავ პალაზე დაპარაკეთ. და თუ ეჭვი გეპარებათ და ეგ

ալևն առ ցայթապողուլցեծ, վայրիտեղ, հաւ վայ-
թու և վայրուա: „Թուս (Վայովուլցեծ) դամեռծա գրու
սայիթա, մացրամ ամստանազը ու հայեն տցու թովեց-
ծուն, հայեն յերշցուն սայմեց արու. „Նան քնո ու-
ժորուաս“ յո առ Յայնուն, արամեց პասուրուաց ցանո-
ւունուն թաս!..“ յելու եռմ դահրմանցու, հոմ Յարց-
կուն աէրու յաձուրանունուն դամեռծա Շինացան Յառ-
ուցեսուն մալու, ոճոյքուրուաց յո առ թութցեծա,
արամեց Յոհուցնցուն ամ Յարուցենու հարցուուց!

Հորցուրց վատյանու, „Ցամց Յարուցենուն“ Յո-
ցուրու թութերու թարյեսունուն մումցնացս „Թասալցեծուն“
յարուրուցունմա դա, հայո ամ թերու ոյցուանուն ցամո-
ւուցուն, նուարաց թարյեսունուն պայու թութելնու յլուն-
ցեծա. թան զեր ցայրիցու գյուրերունուն թարյեսունուն
թարյեսունունացան. թարյեսուն աէրու եռմ ամնանուն
ոյու— Ցեցնցեծ յո առ ցանսանլուրացս աճամունու առ-
սեծունուն տուրմեծս, Յոհ ոյցու սանցագուցերուցուն առ-
սեծուն ցանսանլուրացս թառուն Ցեցնցեծուն տուրմեծսու.
յու արուն թարյերուալուրու տցուլուսանհունուն, այ Ցեցնց-
եծ յէցըմցւեծարցեծ սանցագուցերուց տուրմեծս. յու
արուն թարյերուալունուն թոնունուն. „Ցամց Յարուցե-
նուն“—յո ևու ևու անու անու ցարանցեծուլու. ոյ եռ-
յամուն— „Աճամունուն ուրուրու Յարուցեսուն թոնունու-
լուց, թուս թովեցեծ դա տցու թովեցեծ ոճոյք-
րուուրու Յարուցեսուն յրուու հցուլուան“. յու արուն նամ-
ւուլուն գյուրերունուն թոնունուն տցալուսանհու. այ պա-
ցելուց, և անու անու ու ոճոյքուրու, թոնունուն յաց-

შირია არის განასკული, ერთი მეორისავან დამო-
კიდებული და ერთი უმეორესოდ შეუძლებელი.
ექ, ვიმეორებ, ბიოლოგიური ლეტერმინიზმის აზ-
რია გატარებული და ამ აზრს ხშირად უმეცარნი
ფატალიზმისავარ ვე, არჩევენ. ხოლო ჩვენმა კრი-
ტიკოსმა ვერ აარიად ჰარქსიზმისავან. მეორობეტე
მუხლში იგივე ნითქამი, რაც მარქსის „პოლიტი-
კურ ეკონომისის კრიტიკის ცნობილ წინასიტყვაო-
აშით. ამ გვარი შეცდომები მოსდის მარქსიზმის
ანრილით დაშინებულ კრიტიკოსს“ და ამ შეცდო-
ვას სხვა შეცდომებიც თანაზღვეს.

მეთორმეტე მუხლში ვკითხულობთ: „პროგ-
რესი, განვითარება, შინაარსის მხრივ, ორასოდეს
არ არის თავის დასაწყისის, გამოსავლის უარყოფ-
ვა... არამედ ერთი განუწყვეტელი სერია.“ ამ
ფორმულას რომ დააკვირდეთ, დაინახეთ, რომ
იგი უნაკლულო არ არის ტერმინალოგიის მხვრივ.
ცნება „პროგრესი“ და ცნება „განვითარება“ ანუ ზრდა
ერთი და იგივე არ არის. პირველი სოციალოგიუ-
რი კატეგორიაა, მეორე ბიოლოგიური ცნებაა.
ზრდას და ცვლილებას ყოველთვის არ მოზღვს პრო-
გრესი, გაუმჯობესება. და არც გაუმჯობესების ცნე-
ბა დაკავშირებულია ზრდასთან. „გამგე პრინცე-
პს“ აკტორიც ამ აზრისაა. ამას ქვემოდ დავინა-
ხავთ. ხოლო მას ტერმინოლოგიური შეცდომა შეე-
პარა სათავეში და ამ შეცდომით ასტრურად ისარე-
სებრა მიხმა კრიტიკულმა. იგი დატინერი ამბობს:

„პირველყოფილი კომუნიზმი—თელზისიაო, იმის ნა-
ნგრევებზე აშენებული თანამედროვე წყობილება—
ანტითეზაა, ხოლო მომავალი წყობილება—სინტე-
ზი იქნება. რით არ არის ეს სისტემა მარქსისტული
და რა უფლებით უარყოფს ამ სისტემის მაღიარე-
რელი განვითარების დიალექტიურ პროცესს?.. რა
არის პირველ-ყოფილ კომუნიზმის დარკვევა, რო-
გორც ამას მეთხუთმეტე მუხლი გვასწივლის, თუ
არ დასაწყისის და გამოსაცლეთის უარყოფა?
დიახ, უარყოფაა. ხოლო კომუნიზმის დარღვევა
სრულიადაც არ აღნიშნავს ზაზოგადოებრივ პროგ-
რიზმს. იგი აღნიშნავს მხოლოდ დიფერენციაციას,
ცვალებადებას, ზრდას ან განვითარებას და არას
დროს პროგრესს.—„რა არის ეხლანდელ საზოგა-
დოებრივ წინააღმდევობათა ადგილას სოლიდარო-
ბის გამეფება თუ არ უარყოფა მომავალ წესწყო-
ბილებაში იმისა, რაც ისტორიულად ამ მომავლი-
სათვის დასაწყისი და გამოსავალია?“ რა არის და
ის არის, რომ სოლიდარობის გამეფება აღნიშნავს
პროგრესის გამეფებას. და ამ გვარ შეხედულებაში
მარქსიზმის ნატამალიც არა სჩანს. და თუ კრიტი-
კოსმა გვითხრა, ეგ თქვენი შეხედულებაა და არა
პროეკტისა, ვთხოვთ წიაკითხოს მეთორმეტე მუხ-
ლში შემდეგი ადგილი:—„ამ სერიაში ერთგვარი
არჩევა ხდება: ნელ-ნელა ირიცხება იქიდან მავნე,
უარყოფით ხესიათის მქონე ელემენტები; მარგებე-
ლი, დადგბითი ხესიათის მქონე ელემენტები კი

შტკი ცდებიან და კითარდებიან; — ამაში მდგრადი-
 რის თვით პროგრესიული ზედა. “ ბშეარაა, აქ უა-
 საზღვრულია ერთშანერთში ევოლუცია და პროგ-
 რესი. ევოლუცია პროგრესიდ არ ითვლება, და
 პროგრესი მაშინ არის, როდესაც მტკიცდებიან
 საზოგადოებაში მარგებელი, დადებითი ხასიათის
 მქონე ელემენტები. კრიტიკოსი ამას არ ჰქოდავს,
 გალალებული გამარჯვებას დღესასწაულობს და ეშ-
 მაკურად კეითხება აფტორს: — „დარღვევა საზოგა-
 დოებრივის პრინციპის, რომელიც პროექტის ცნო-
 ბით „სავსებით“ შეფრთხილი პირველყოფილ კომუნი-
 ზმი, მარგებელი და დადებითი ხასიათისაა თუ
 არა? ამ კითხვაზე პროექტმა, როგორც ევოლუციონისტმა, „ ჰო“ უნდა გვითხროს, ხოლო როგორც
 კომუნიზმის მოტრფიალემ — „ არაო“. როგორ მოგ-
 წონთ „ევოლუციონისტი“ დამფასებელ როლში?
 კრიტიკოსს დაავიწყდა, რომ ევოლუციისთვის
 არც მარგებელი, არც მავნებელი ელემენტები არ
 არსებობს. დაფასება მხოლოდ პროგრესის ფორ-
 მულაში შედის და კომუნისტიც, რომელიც აღია-
 რებს ამ ფორმულას, ვალდებულია დაათასოს. ცხო-
 ვრების ისტორიული ცვალებადობა. „ გამგე პრინცი-
 პების“ ავტორი სწორედ ამ ნიადაგზე სდგას. ჩვეუ-
 ლებრივად, მისი კრიტიკოსი არ ამჩნევს ამ გარე-
 მოგრძას და უსაფუძვლოდ დასძენს: „ როგორც კო-
 მუნისტი პროექტი მარქსისტულ ტრიადაზეა შეს-
 კუპებული, ხოლო როგორც მარქსიზმის უარმყო-

ფელი ეფოლიულიონურ თეორიაზე ამ გაუგებ-
 რობის ნაცვლად საჭიროა ითქვას: როგორც კო-
 მუნისტი პროექტის ავტორი მარქსისტულ ტრია-
 დას უარავყოფს, ხოლო როგორც მარქსის უარ
 მყოფელი ეფოლიულიონურ თეორიაზე სდგის. ამ
 ვარი დასკვნა იქნებოდა სამართლიანი.

ჩვენ აღარ გავუვებით კრიტიკოსს მის აზროვ-
 ნების მსვლელობაში. რასაც გვეუბნება ანარქიზმის
 შესახებ მეტად სუსტია და ამ სისუსტეს ავტორი
 თითონაც გრძნობს და გვპირდება შემდეგში უფ-
 რო საბუთიანათ მოგელიპარაკებით ამ საგნის შესა-
 ხებო. ეხლა კი შევუდგეთ ორ პროგრამის განხილ-
 ვას იმ მხრივ, რა მხრივადაც ეგ პარტიას აინტე-
 რესებს.

VI

პარტიული პროერამის ბირველი პროექტი.

პირველი პროექტი საზღვრავს განხეთქილების
 საგანს და ამბობს: „რადგან ანარქისტების ზედგავ-
 ლენით ჩვენის პარტიის ერთმა ნაწილმა სახელმწი-
 ფოსთან პრინციპიალური დამოკიდებულების შესა-
 ხებ რყევა დაიწყო, ამიტომ საჭიროთ მიგ-
 ვაჩნია შევჩერდეთ ამ საგანზეო.“ (გვ. 3). პროექ-
 ტის იეტორი თავვამოდებით ესარჩილება სახელმწი-
 ფოს,,, სახელმწიფოთა დაარსების ისტორია, ამ-
 ბობს იგი, არ ამტკიცებს, რომ იგი მდიდრებისა-
 ვან განზრაბ თავის ბატონობის განსამტკიცებლად

„ამოგონილი ორგანიზაცია იყოს... ეკონომიკური ბატონიბა და ეკონომიკური ექსპლუატაცია სახელ-მწიფოებრივ ორგანიზაციის განვითარების პირველს საფეხურზე, ისტორიის მოწმობით, სახელმწიფოსა-ვან დამოუკიდებლად. არსებობდა... თავის თავად სახელმწიფო ეკონომიკურ ბატონიბის იარაღით სრუ-ლიადაც არ არისო“. (გვ. 4, 5).

զցրո՞ր დაუდგრომეլ ნიօდացից დგება. Տեցա-
գան¹⁾ Մայ Ցվելոնდა մ Տացնու Շըստեց լուծորացո-
հցցեն Եղալ Շո Տակուտրեց Յոնի Հոռու արու დայաց Շո-
հց ծովու Տաելոմի ուղարկու Տան. Տան Կյանդո Տակուտրե-
ծա ար Ինց ծա, Տաելոմի ուղարկու ար արևոծած. Որ լուց-
ու ու ար Յոնց Անց գուման ու մու դա Ինց ծա
Կյանդո Տակուտրեց ա, ու անց ծա Տաելոմի ուղարկու. ամսու
ց ամսու Ետնոց հագու ա, ու Տրու Տրու ա, ամսու
ց ամսու Ետնոց հագու ա, ու Տրու Տրու ա, ամսու

გავყვეთ ისევ ავტორს. მოახდინა რა სახელ-
მწიფოს რეაბილიტაცია წარსულში, იგი გვაჩვენებს
იმ კეთილ საქმეებს, რომელებსაც ჰქონის და ჰპადავს
თანამედროვე სახელმწიფო. ვინ მოსთვლის ამ საქ-
მეების რაოდენობას! სახელმწიფო ცდილობს თურ-
მე „საყოველთაო ხავაჭრებულო“ პირველ დაწყე-
ბით სწავლის შემოლებას, სხვა და სხვა უფასო **)
ან იატ-ფასიან განმანათლებელ დაწესებულებათა

⁴⁾ აღათი და კანონი, საკუთრება და სახელმწიფო „ისა-რი“ №№ 34, 35, 36, 38.

**) კურსიკი ჩვენია ყველაზე. მიგოთ ბორბილი დღე



დაარსებას, ბიბლიოთეკების, სამკითხველოების, სა-
ხალხო უნივერსიტეტების და სხვების დაწესებას,
ქაობიან აღგილების პოშრობას, გზების გაუყანას
და ამგვარებსო (გვ. 6). კიდევ კარგი ავტორი შე-
დგა ამ აღგილზე! თორემ სახელმწიფოს სიკეთეე-
ბით გატაცებულს, მას ამგვარივე საბუთით იმისი
თქმაც შეეძლო, რომ სახელმწიფო ჰკებივს ხალხს,
რადგან სახელმწიფო ქარხნებსა და ზავოდებში
ამუშივებს მას, იძლევს სამუშაო ქირას. მართლაც,
განა საკვირველი არ არის, რომ სოციალისტურ
პროგრამაში სახელმწიფოს ქებათა ქებას ასხამდნენ
იმ გარემოების გამო, რომ იგი ჟალზიზ ფუდით აქა
იქა სამკითხველოსა ბსნის და ქაობიან აღგილს აშ-
რობს. სოციალისტობა დროებით სრულიად დაჰ-
ვიშუებია პროგრამის ავტორს, დაპეიშუებია აგ-
რეთვე ისიც, რომ საყოველთაო პირველ დაწ
უებითი სწავლა სახელმწიფოს მიერ მოწყობილი,
უმეტესს შემოხვევაში, ისეთ შხამს წარმოადგენს
ხალხის ეროვნულისათვის, რომლისგანაც განკურნება
რამდენიმე თაობათათვის ძნელი გახდება. დაპეიშ-
უებია, რომ სწავლა-განათლების გასახელმწიფოე-
ბრივობა (თუ მომეტევება ამისი თქმა) ნაპოლეო-
ნის თვალში პირველი და უმთავრესი იარაღი იყო
ხალხის დამორჩილებისა.

რაკი ასეთი კეთილი ყოფილა სახელმწიფო,
ნამდვილი სოციალისტური ინტერესი, განაგრძობს
ავტორი, მოითხოვს მხოლოდ იმას, რომ სახელმწი-

ფოს დაუკარგოს კლასიური ხასიათი და არა თვით
 სახელმწიფოს დანგრევას... მომავალი სოციალის-
 ტური სახელმწიფო დალდატანების საზოგადოებ-
 რივი ორგანიზაცია იქნება, მაგრამ ეს ორგანიზა-
 ცია, გვანუგეშებს პროექტი „თლად კულტურულ
 განვითარებისათვის იქნება გამოყენებულიო... (გვ.
 7) ეს დასკვნა ლოლიკურათ გამომდინარეობს იმ
 დებულებიდან, რომელიც თავში აქვს წამოყე-
 ნებული ავტორს. თუ სახელმწიფოს არა აქვს ორ-
 განიული დამოკიდებულება კერძო საკუთრებასთან,
 თუ სახელმწიფო თავის თავად არ არის ექსპლუა-
 ტაციის მანქანა, თუ შეიძლება სახელმწიფოს არ-
 სებობა კლასთა გაუქმების, კერძო საკუთრების მო-
 სპობის შემდეგ, მაშინ სხვა არა ეთქმისრა ავტორს
 იმის გარდა, რაც სთქვა. მაგრამ საქმეც ამ „თუ-
 შია. ავტორმა თავისი დებულება, რომლიდანაც
 გამოდის, არ დაასაბუთა, ამიტომ დაუსაბუთებელი
 რჩება მისი დასკვნაც.

სახელმწიფოს არსებობის გასამართლებლად
 პროექტს აქვს კიდევ ერთი საბუთი. ეგ საბუთი
 ყველაზე სერიოზულია. მაგრამ მას ავტორი გაკ-
 ვრით ეხება. იგი ამბობს: „ჩვენთვის სახელმწიფოს
 როლი განისაზღვრება მხოლოდ შრომის ორგანი-
 ზაციის საკიროებით (გვ. 10). მართლაც, კინ
 უნდა მოაწყოს და მოაწესრიგოს შრომის საქმე,
 ვინ უნდა გაანაწილოს ნამუშევარი საქონელი მო-
 თხოვნილებისამებრ, ვინ ჩიაყენებს ჰარმონიის კა-

ლაპოტში მიწოდების და მოხმარების ნორმან? შრომის მომზესრიგებელი იქნება სახელმწიფო, ამ-ბობენ ცინკრადიონული სოციალდემოკრატები. მასვე იმეორებს ფედერალისტურ პროგრამის ავტორიც! ეს არის საკუირველი! მართალია, ცოტა ჭვემოდ ავტორი გვეუბნება: „უმაღლესი რეგულიატორი სოციალისტურ წარმოებისა არის ფედერატიული კავ-შირი სოციალური კავშირებისათ.“ (გვ. 35). მიგ-რამ ეს წინააღმდეგობა გარეგნულია, „ფედე-რატიულ კავშირს“ ავტორი ძალდატანებით ხასი-ათს არ უკარგავს. ზემოდ არ იყო, რომ ლაპარა-კობდა საზოგადოებრივ ძალდატანებაზე! ასე რომ პროეკტის მიერ ფედერაციის გახსენებამ შეუცდომა-ში არ უნდა შეგვიყვანოს. პროეკტი თავი-სუფალ ხელშეკრულებაზე დამყარებულ კავში-რზე არა ბჟობს და ამ რიგიდ მისი ფედე-რალიზმი სახელმწიფოებრივი ფედერალიზმია. როგორც ვსოდეთ, პროგრამის პროეკტი იღნიშ-ნულ კონფერენციაზე არ იყო დამტკიცებული. ამ კონფერენციაზე ზოგიერთ გავლენიან ანარქისტის დასწრების გამო, თუ სხვა მიზეზით ანტისახელმწი-ფოებრივმა და ანტიპარლამენტარულმა მიმართუ-ლიბამ გაიმარჯვა. ამ მიზეზის გამო კონფერენციამ დაავალა განსაკუთრებულ კომისიას ახალ, მეორე პრო-ეკტის შედგენა. ეს მეორე პროეკტიც შეაღვინეს. მაგრამ პირველ პროეკტის ავტორს ხელმეორედ სურს წარუდგინოს კონფერენციას თავისი ერთხელ და-



წუნებული პროგრამა. ამ განზრახვით შეისწორება პროგრამის პირველი პროექტი, აქა-იქ შეაღმაშენეს, ზოგი-რამ ჩაუმატეს, ზოგი-რამ გამოსტოვეს და ისევ აპირებენ მომავალ კონფერენციის წინაშე ბედის უდას. ამ რიგად დღეს ჩვენ ხელში ორი პროექტია პროგრამისა.

შემუშავებულ და გადაკეთებულ პირველ პროექტის შესახებ ბევრი არა ითქმის-რა. სადაც საგნის შესახებ გადაკეთებულ პირველ პროექტის აზრი არ შეცვლილა. აქაც არის ლაპარაკი „სოციალისტურ სახელმწიფოზ“ (I) (გვ. 24), „ძალდატანების საზოგადოებრივ ორგანიზაციაზე, რომლითაც ვითომდა დახასიათდება ეგ მომავალი სოციალისტური სახელმწიფო.“ აქაც დაეინებით განმეორებულია ის აზრი, ვითომ „ეკონომიური ბატონობა და ეკონომიური ექსპლუატაცია განვითარების პირველს საფეხურზე სახელმწიფოს დამოუკიდებლივ არსებობდათ.“ „ბატონ-ყმური კავშირი მიწის პატრონისა და მიწის მუშათა შორის, ჯიუტობს პროექტი, სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი ფაქტი იყო... მიწის პატრონი ხშირად თითონ სთხივდა კანონებს, რომელთაც უზრუნველ უნდა ეყოთ იმის ეკონომიური ბატონობა და სახელმწიფოს მმართველებმა-მეფეებმა არც კი იცოდენ, რა ეწერა ამ კანონებში“ (გვ. 32) ამ სტრიქონების დამწერს რომ დაუჯეროთ, უნდა ვაღვიაროთ, ვითომ სახელმწიფური ორგანიზაცია მეუვების გაბატონდა.

ბიდგან იწყებოდეს. და ის ორგანიზაციები, სადაც
მიწის პატრონი თავის ბატონობის უზრუნველ სა-
კუთხლად თვითონ სოხზავდა დამორჩილების კა-
ნონებს, სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია არ ყო-
ფილიყოს. ნამდვილად კი, სანამ ფეოდალური სა-
მეფოები და მონარქიები დაარსდებოდნენ, არსე-
ბოდდენ სამთავროები, რომელთაც უკვე გამოყო-
ფილი ჰქონდათ სამმართველო და სამოსამართლო
ორგანოები და ამ ორგანოების საშუალებით ისი-
ნი იცავდნენ უკვე დაბადებულ კლასთა უთანას-
წორობას და კერძო საკუთრების პრინციპს. ამ
სამთავროებს ყოველივე ტიპიური ნიშნები ჰქონდა
სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებისა. მეცნიერებას
იმოწმებს პროექტის ავტორი და სრულიად არ მი-
უქცევია ყურადღება, რა ხსიათისაა ეგ მოწმობა
და ვის წინააღმდეგ დაღადებს იგი!

თავი VII

პროერამა „მინიმუმი“ და პროერამა „მაქსიმუმი“.

არავის ეგონოს, რომ აღძრული თეორიული
კამათი გულის მოსაფხანად იყოს გამოგონილი. არა,
თეორიულ კამათს სწორეთ დაყენებულს დიდი პრაკ-
ტიკული მნიშვნელობა აქვს. დღეს, ბატონო, სო-
ციალიზმს ვინ არ ებლიუქება. სოციალიზმის თეო-
რიებით აღიკურნენ აღვიკატები, ექიმები, მოხელე-
ები, უურნალისტები და სხვანი მრავალნი არა-მწარ-



მოებელნი. და ამის შედეგი ის არის, რომ წარ-
მოების მოწესრიგების და ორგანიზაციის შესახებ
კი არ სჯიან და ბასობენ არა-მწარმოებელი სო-
ციალისტები, არამედ სამინისტროებზე, პარლამენ-
ტზე, იქ მოქმედების საჭიროების და აუცილებ-
ლობის შესახებ, ლაპარაკობენ იგრეთვე (დაბალის
ხმით) დამფუძნებელ კრებებზე და პოლიტიკურ
დიქტატურობის შესახებ. სწორეთ დაყენებული
კითხვა სახელმწიფოს, მის ორგანოების თვისების
და ხასიათის შესახებ კი დაგვანახვებს, რომ სოცი-
ალიზმი სახელმწიფოს, პარლამენტის და დიკტატუ-
რის საშუალებით ვერ განხორციელდება და მაშა-
სადამე არა-მწარმოებელ სოციალისტებს, რომელ-
თა ფხიხოლოგია დიკტატურული გრძნობებით არის
გამსჭვალული, სოციალიზმის განხორციელების საქ-
მეში პირველი დღილები დაეკარგებათ. ამ შეგნე-
ბას ის მოჰყვება, რომ სოციალიზმს ბევრი არა-მკი-
თხე „ბელადი“ ჩიმოშორდება და საყოველთაოდ
გამოისხება და გამოირკვევა ის აზრი, რომ სოცი-
ალიზმი თუ განხორციელდება, მშრომელთა კავში-
რების შეირ და სახელმწიფოს ორგანოების გარედ
განხორციელდება. ეს ცხოველმყოფელი აზრი მწარმო-
ებელთა საქმისთვის, ხოლო პესიმისტური დასკვნა „ბე-
ლადებისათვის“ ბოლოს და ბოლოს ყველასათვის
სასარგებლო გახდება, რადგან ხელს შეუწყო-
ბს სოციალისტური პარტიების ახალ ნიადაგზე,
წარმოების ნიადაგზე აშენების, შეუწყობს ხელს

გრეთვე საზოგადოებრივ ბუნებრივ დიფერენციალის, რაც ასე საქიროა კლასოა ბრძოლის ნორმა-ლურ ვითარებისათვის.

როგორ, გვეტყვიან, თქვენ უარ-ჰყოფთ დღე-ვანლელ დროს პარლამენტს! მელი რეეიში არ არის ჯერ კიდევ დათრგუნული და თქვენ შრომის სოციალისტურ ორგანიზაციაზე ლაპარაკობთ? ეგ უტოპია, ეგ პარტიულენაა და უნიადგობაა, სხვა არაფერი! — „თქვენთვის“ მე არ უარ-ჰყოფ არც პარლამენტს, არც მასში მოქმედების მნიშვნელობას, არ უარ-ჰყოფ იმათთვის, იმ პოლიტიკურ პარტიებისათვის, რომელთაც ძალა-უფლობის ხელში ჩატარდება სწყურიათ და რომელნიც ამის გამო ერთმანეთს ეჯიბრებიან. ვამბობ მხოლოდ, რომ მწარმოებელს პარლამენტი არ ესაქიროება, არ ესაქიროება არც დღეს, არც მომავალში. დღეს იმიტომ, რომ არც ერთი კანონი პარლამენტის მიერ გამოცემული მაშერალის მძიმე უღელს ვერ შეამსუბუქებს. ხოლო რაც შეეხება მომავალს, პარლამენტი წარმოების მომწესრიგებელ ჩეგულიატორის როლს ვერ იკისრებს. და ამა, მითხარით, რისთვის უნდა შეიწუხოს თევი მწარმოებელმა იმ კითხვების გამოკვლევაში, თუ რომელი და რა ხასიათის სამინისტრო ესაქიროება დღეს ხალხს?!

სცდებით, გვეტყვიან ამაზე, იმ თუნდ საფრანგეთის სინდიკატების მაგალითი აიღეთ. „დიალი თანმედროვე სარევოლუციო სინდიკალურ მო-



რაობის მნიშვნელობა. მაგრამ იგი ამასთანვე არ უარ-ჰყოფს პოლიტიკურ ბრძოლასაც. სინდიკალიზმი ანტიპარლამენტარული მოძრაობა კი არ არის, იგი პარლამენტის გარეშე მოძრაობაა.» (პირვ. შესწორებული პროეკტი გვ. 38.) ჩვენ კი გვგონია, რომ ამგვარი შეხედულება სინდიკალიზმზე მარქსისტული ხასიათის სოფისტიკა არის. სინდიკალიზმი მოქმედობს პარლამენტის გარეშე იმიტომ, რომ ძირი გამოუთხროს პარლამენტის მნიშვნელობის და ცხოვრების მომწევსრიგებელ ორგანოდ არამარტინი არ გარდაქნას. ამ სავანს ქვემოდ შევეხებით, ეხლა კი პასუხი უნდა გავცეთ სხვა კითხვაზე. — კარგი, უარ-ჰყოფთ პრინციპიალურად პარლამენტი, მაგრამ იმას ხომ ვერ უარ-ჰყოფთ, რომ პარლამენტის საშუალებით სოციალისტურ პროგრამის მინიმუმს მინც განხორციელებოთ? — ჩვენ უარ-ჰყოფთ პროგრამა მინიმუმსაც.

ჩვენი მოპირდაპირენი განცვიფრებულნი არიან. რანაირად შეიძლება. რომ სოციალისტურ პარტიას პროგრამა მინიმუმი არა ჰქონდეს! სოციალიზმი ხომ ერთ დღესა და ერთ საათში ვერ განხორციელდება; ხალხი ხომ თანდათან მივა იმ მიზნისაკენ და პროგრამა მინიმუმი ხომ ის თუცილებელი საფრთხოა, რომელსაც ხალხი გზას ვერ აუხვევსო? აქ რაღაც გაუგებრობა! პროგრამა მინიმუმის დამცველთ ხშირად მოჰყივთ ხოლმე ამგვარი მოსაზრება: როდესაც კაუი ხსნდე თვლას იწყებს,



განა ოთხმოცდა-ცხრამეტი და ყოველი ამის მიმ-
დევარი რიცხვი არ უნდა დათვალის? ან კიდევ,
როდესაც მაღალ სახლის სახურავზედ ასელა გინდათ,
განა კიბე არ უნდა მოიხმაროთო?.. დიალ, ყოვე-
ლივე ეს ჰეშმარიტებაა. ამის წინააღმდეგ არაფე-
რია სათქმელი. ხოლო სადათ საგნის ამ ნიაღავზედ
გადმოტანას არავითარი ჩნიშვნელობა არა აქვს.

არა, ბატონი, საქმე სწორეთ ამაშია, მოგვი-
გებენ მინიმალისტები: პროგრამა მინიმუმის უარ-
ყოფა სწორეთ ის არის, რომ თქვენ გინდათ ასი
დასთევალოთ და არც ოცი, არც ოთხმოცი არ და-
ასახელოთ. სახლის სახურავზედ ასელის სურვილი
დიდი გაქვთ, ხოლო კიბეს კი, ურომლისოდაც ვე-
რას გახდებით, ზიზღით დაჰყურებთ. კაცობრიო-
ბის განვითარებას თქვენს თვალში ეტაპები არა
აქვს. ერთის შებერვით გინდათ სოციალიზმი დაამ-
ყაროთ დედა-მიწაზედ. გავიწყდებათ, რომ პროგ-
რამა მინიმუმი, ე. ი. მთელი რიგი დემოკრატიულ
რეფორმებისა, ამ პროგრამაში ჩაწერილი, პარლა-
მენტი და ამ დაწესებულებაში მოქმედება სწორეთ
ის გზია, რომელიც უცილებლივ უნდა განვლოთ;
წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ დაემგზავსებით ზე-
მოდ აღნიშნულ აღამიანს, რომელსაც საკუთარი
ფეხებით სურს ასკუპა მაღალ სახურავზედო...

აქ, როგორც ყოველთვის ამგვარ კამათის
დროს, თავდაპირველად საჭიროა საკამათო მცნე-
ბის განგარტება. გაუგებრობა იქიდან გამომდინა-



რეობს, რომ აქ პროგრამა მინიმუმის მცნება და-
ისტორიის თანდა თანობით განვითარების მცნება
ერთმანეთშია გარეული. ეს კი ასე არ უნდა იყოს.
შეიძლება მომხსრე იყოთ ისტორიულ თანდათანო-
ბისა, ხოლო არ იწყნარებდეთ პროგრამა-მინიმუმის
აღიარებას, ე. ი. შეიძლება ეთანხმებოდეთ იმ აზრს,
რომ სოციალიზმის დამყარებისათვის საჭიროა ხან-
გრძლივი მომხსადება, მოქმედება და ბრძოლა, ხო-
ლო ეს მოქმედება და ეს ბრძოლა პროგრამა მინი-
მუმის მუხლების მიხედვით არ იყოს ჩამოყალიბე-
ბული თქვენს თვალში.

საიდამ წარმოსდგა პროგრამა-მინიმუმის მცნე-
ბაზ ევ პოლიტიკურ ცხოვრების ნაყოფია. როდე-
საც პოლიტიკური პარტია სამოქმედოთ გამოიდის
და თავის მოქმედებას პარლამენტში აწარმოებს,
იგი იმის ცდაშია, რომ რაც შეიძლება მეტი დე-
პუტატი იყოლის საკანონმდებლო დაწესებულე-
ბაში. ამ მიზნით პარტია მიმართავს ხოლმე ამრჩე-
ველთ და ეუბნება: თუ ჩვენი პარტიის კაცები იქ-
ნებიან პარლამენტში, ამ და ამ რეფორმებს განვახო-
რციელებთ. და რეფორმები იმგვარი ხასიათისაა,
რომ სულ თქვენს საკეთილდღეოთ არიან წამოყე
ნებულნი. აი ყური დაუგდეთ, და აქ პარტია გა-
დეუშლის, ხოლმე თავის პროგრამას, რომელსაც
მინიმუმის ეპიტეტს აძლევს. არ გეგონოთ, რომ
ამას იქით არაფერი იყოს თქვენთვის სასარგებლო,
არა, ჩვენი იდეალი უფრო ფართო, ხოლო მაქსი-

შემი ჩვენი პროგრამისა დღევანდელ პირობებში ვერ განხორციელდება. დღეს დავკმაყოფილდეთ მინიმუმით და თან-და-თან მაქსიმუმსაც მოვიპოვებთ. და ორც ისეთი მდარეა ჩვენი დღევანდელი მოთხოვნათა სია. და ისევ ხაზს უსვამენ წამოყენებულ რეფორმათა დიდ მნიშვნელობას.

ამ რიგად, პროგრამა-მინიმუმი საარჩევნო ჰადათ-ფორმაა, ის საკენკია, რომელსაც პოლიტიკური პარტია ამომრჩეველთა წრეში ხმების მოსაპოებლად ისერის ხოლმე. აი ნამდევილი ხასიათი და თვისება პროგრამა მინიმუმისა. იგი ჰარღამენტში მოქმედების გეგმაა.

ახლა გვიპრძნეთ, რატომ უნდა ვაღვიაროთ ეს გეგმა, თუ პარლამენტში მოქმედება ირაფრად მიგვაჩინია. თუ პარლამენტის გარედ ვაწყობთ და ვაშენებთ ახალ შენობას, ვაწყობთ და ვაშენებთ თან-და-თან, გამუდმებულ და მძიმე ბრძოლის საშუალებით თანამედროვე პოლიტიკო-სოციალურ სისტემის წინააღმდეგ? ჩვენ აქ განვებ გავუსვით ხაზი სიტყვას „თან-და-თან“, რათა გვეჩვენებინა თქვენთვის, რომ ჩვენც არა გვგონია, რომ ერთ მშვენიერ მასის დღეს ციდამ ჩამოგვივარდება საყოველთაო კმაყოფილება და უმაღლესი ბედნიერება.

მაშ დავუკვირდეთ იმას, თუ რანაირად, რა ელემენტების საშუალებით გვინდა ჩვენ ახალ სოციალურ სტრუქტურის აგება პარლამენტის და სა-



ხელმწიფოს გარედ? რა პრინციპს ვუდებთ ჩვენ აღამიანის საკიროებათა დაქმაყოფილებას? ვინ უნდა გახდეს მოთხოვნა-მოწოდების (спросъ-предположение) მომწესრიგებლად? სოციალური პრობლემის განმარტება სამ მთავარ კითხვათა განმარტებაზეა დამოკიდებული. თუ ოქვენს თვალში მომავალ საზოგადოების ქვაკუთხედათ მშრომელთა თავისუფალი კავშირი არ იქნება, და თუ ამ კავშირთა თავისუფალ ფედერაციაზე არ ააშენეთ მთელი სოციალური სტრუქტურა, აუცილებლივ უნდა იყოთ სახელმწიფოებრივ სოციალიზმის (კოლექტივიზმის) მომხრე. და სახელმწიფოებრივ სოციალიზმის მომხრე თუ ხართ, დიკტატურის პრინციპ უნდა შეიწყნაროთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ერთ ნაბიჯსაც ვერ გადასდგამთ სახელმწიფოებრივ სოციალიზმის განხორციელების საქმეში.

სოც.-ფედერალისტთა პარტიის პროგრამის მეთაურე პროექტი სწორეთ ამ მხრივ არის საყურადღებო, რომ იგი ეხება ამ საგანს და ნათლიად არ-კვევს თანახმად კომუნიზმის პრინციპებისა. აქაც უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ არ შევეხებით ამ პროექტის მიერ ყველა წამოყენებულ კითხვებს. უნდა კი ვსთქვათ, რომ მთელი რიგი პოლიტიკო-სოციალურ კითხვებისას, მათი ჯეროვანი გაგება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არკვევთ და როგორ გესმით ზემოდ წამოყენებული საგანი.

თავი VIII

ბარციულ პროგრამის მეორე პროექტი

მეორე პროექტში ვკითხულობთ: „ჩვენი სო-
 ციალისტური მსოფლ-მხედველობა დახასიათებულია
 სამი უარ-ჰყოფით (отрицанье) და სამი დებულე-
 ბით. უარ-ჰყოფა კერძო საკუთრებისა; იღიარება
 საკუთრების ერთობისა-კომუნიზმისა; უარჰყოფა უფ-
 ლება-კანონისა, აღიარება თავისუფალ ხელშეკრუ-
 ლებისა (договоръ), თავისუფალ შეთანხმებისა.
 უარჰყოფა სიხელმწიფოსი; აღიარება თავისუფალ
 საზოგადოებისა-კომუნისა და მათ ფედერაციათაო.“
 (გვ. 102). სამი დებულება რომ ერთად შევაერ-
 თოთ, გამოვა: კომუნალური ფედერაციები თავი-
 სუფალ ხელშეკრულებაზე დამყარებულნი კომუნი-
 სტურ საკუთრებას აწარმოებენ. რა პრინციპზე
 იქნება დაფუძნებული შრომის ნაყოფის განაწილე-
 ბა? მეორე პროექტი გადაჭრილ პასუხს იძლევა
 ამის შესახებ. იგი ცნობილ კომუნისტურ ფორმუ-
 ლის აღიარებს: „ყველას მოთხოვნილებისამებრ,
 ყველისაგან შეძლებისამებრ.“ პირველი პროექტის
 ავტორი კი სხვა ნიადაგზე სდგას. მართალია ეს სა-
 განი აღნიშნულ პროგრამის ავტორს არ გაუჩივე-
 ვია; მაგრამ რადგან იგი მომხრეა „სოციალისტურ



სახელმწიფოსი“, ¹⁾ მაშასადამე მომხრე უნდა იყოს კოლექტივიზმისა, და არა კომუნიზმისა, კოლექტივიზმს კი სხვა ფორმულა აქვს წამოყენებული. ეს ფორმულა არის: „ყველას თავის შრომისამებრ“. ვნახოთ ახლა, რა მოჰყვება იმ გარემოებას, კოლექტივისტური ფორმულა რომ იყოს განხორციელებული.

მივმართოთ მეორე პროექტის პროგრამას. აქ ვრცელი ადგილების გამოწერა მოგვიხდება და მკითხველი არ დაგვემდურება ამის გამო, რადგან პროექტის ავტორი ნათლად გვისახვს საგანს. და ეს დიდი განძია. რას ნიშნავს ზემოდ მოყვანილი კომუნისტური ფორმულა? „იმას ნიშნავს, გვეუბნება ავტორი, რომ მწარმოებელ საზოგადოების ყოველ წევრს განურჩევლად ექნება თანასწორი უფლება დაიკმაყოფილოს ყველა თავისი მოთხოვნილება საზოგადო ქონებისაგან. რამდენიც შემიძლია, იმდენს ვმუშაობ, ჩემი ძალის დაგვარად ჩემი წვლილი შემაქვს ცხოვრების საუკეთესო პირობების დამყარებისათვის წარმოებულ შრომაში და რაც მინდა, რაც მჭირია, იმდენი მიმაქვს საზოგადო შრომის ნაყოფისაგან“. (გვ. 62.) რას ნიშნავს ახლა კოლექტივიზმის ფორმულა—ყველას თავის შრომისამებრ? „თუ ეს ფორმულა იმასა ნი-

¹⁾ სახელმწიფო აასრულებს შრომის უმაღლეს რეგულატორის ფუნქციას (პირვ. პროექტი გვ. 48.)

შნავს, რომ ყველას მიენიჭება ნაყოფი მისი შრომისა, ამ შემთხვევაში ეს ფორმული უძრსაყოფია, რადგან ის არც სოციალისტურია, არც განსახორციელებელი, არც მეცნიერული და სამართლიანი... სრული პროდქუტი თავის შრომისა! ეს კიდევ კონკურენცია, კიდევ შენ ჩემობაა, რომელიც ისე საშინლად ახასიათებს კაპიტალისტურ წესწყობილებას. დადგინდება იმისა, რომ ყველას მიენიჭოს სრული ნაყოფი მისი შრომისათვის, არაფერს არ განმარტავს, არაფერს არ უჩვენებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იყოს წირმოებისა და მოხმარების სისტემა. ამგვარი ფორმულა შეეძლია მიიღოს ყველა ცოტად თუ ბევრად შეგნებულმა ბურეუა რეფორმატორმა, რადგან ის კაპიტალისტურ სისტემის უარ-ჰყოფას, იდეას კერძო საკუთრების გაუქმებისას არ შეიცავს. ეს კიდევ არაფერი! ეს ფორმულა განუზორციელებელია, რადგან მუშა თავის ნაშროვის სრულ ნაყოფს ვერ მიიღებს, რადგან კოლექტივისტური სისტემა გულისხმობს ცენტრალიზაციას და, მაშასადამე, წარმოების გამგეთაც, საკანონმდებლო და ოღმასრულებელ ორგანოებს. ყველა ამის, რასაკვირველია, შენახვა უნდა და ყველა ამის ხარჯი უნდა გამოირიცხოს სწორედ იმ შრომის ნაყოფისაგან, რომელსაც ისე გულუხვად ჰპირდებიან აბუჩიად აგდებულ მუშათა კლასს "... გარდა ამისა... „გამოთვლა და გამოანგარიშება კი იმისა, თუ რა ეკუთვნის თვითეულს ინდივიდუალუ-

հազ, պողովագ Շեշտլցեցլու... Տայիր օմանու, հոռ
ոնդովութալուրո ցներցու պողովագուս ոնդովութա-
լուրու, շ. ո. Տեցա-Ըա-Տեցա հառցենոծուն մերոց.
ցներցուն մերոց հոռ ցանեսեցացեծ առ ոսկես ոնդո-
վութա Մորուն, մանոն աղարց ոնդովութալուն ոյ-
նցեցուա. ոնդովութալուր ցներցուն ցամուսանցահո-
Շեցելու աքարաբու առ առևցեծներ... Հաց Շեցեցն
գորուն, աղեծուլու հողորոշ Մրումուն Տանումն, ու
Ցերաց Սեցերեցուն, հաջգան ու ահագյուրն առ Ցո-
մացն, Ըա յև օմուրոմ, հոռ ոնդովութա ցներցուն ցր-
տո Տանումուն առ ցանունցեծն... Եռլու ՝ Եղ Շե-
մոլցեցունը ոյմնա Մրումուն լորեցեծուու Շուշերենցուա-
ցու, Եղ օմուն Ըա ցարաց Տեցա-Ըա-Տեցա ցարու Մրու-
մա Տեցա-Ըա-Տեցա ցարաց գայուսնեա, Եղ օմուն ուն
Ցուկցա ոյրարյուն Մրումուն գայուլուցեծնե, հո-
ղորց յև Կոլցէքիունունուն Տուրեցմուն անալունութա
ցամունուն, — Ցրոնցուն Տուրեցմուն գարլուցեցունու,
Մուտանասիուրուն գամյշեցեցունու Ըա ահա-Մուտանասիու-
րաց գայուլուցեցուն Մրումուն Մորուն Կոնցուրեն-
ցուա գայոնոնցեցունու. Օմուտանաց Ցրոնցուն Կոն-
ցուրենցունուն, Եցրեց Բուժեցեցուն Ցուտեցնա-Ցուժու-
ցեծուն Կանոնու այսուլցեցուն Մենածունու Մնճա
Ցուրաց. Եցեն Կո Վոյոյրուն, հոռ Կորմու Տայուտ-
րունուն Ցուտեցնաստան ցրտաց Մնճա Ցուտեցնա Կոն-
ցուրենցուն Ցուտեցնաստան Հորունցու, հաջգան Եղ Կոնցուրենցուա
գապուն ոյմնա Ցուտեցնաստան Հորունցու, հողորոշ



ეს კოლექტივიზმისა სურს, ყოვლიც საჭირო ჩქმნება ამ შემთხვევაში აღდგენა იმ ორგანოსი, რომელსაც ჩვენს დროში მისიად აქვს სხვათა შორის ამ კონკურენციის მოწესრიგება. კოლექტივიზმი ასე-დაც იქცევა (და მასთან პირველ პროგრამის პრო-ეკტიც, შევნიშნავთ ჩვენ): ის ინახავს საკანონმდებლო უფლებას, რომელიც ამუშავებს და ამყარებს მთელ საზოგადოებისათვის სავალდებულო ნორმებს, კანონითვე ამყარებს ერთ საზოგადო ნორმებს სა-მუშაო დღისას და განმარტავს სამუშაო ქირის რაო-დენობას. მაშასადამე, კოლექტივისტური სისტე-მა იძულებულია სალარიატთან ერთად (დაქირა-ვების სისტემა) სახელმწიფოებრივი პრინციპიც და-იცვას. დიახ, სახელმწიფოებრივი პრიცნიპი, რად-გან იმ კანონმდებელ ორგანოს, რომელიც კოლე-კტივიზმში დაცულია, უნდა მიემატოს აღმასრულე-ბელი ორგანო, რადგან კანონი, რომელიც სავალდებულო არ არის, რომელიც ნებაყოფ-ლობაზე არის დამყარებული—კანონი არ არის და თუ კოლექტივიზმს კანონი უნდა, მას მისი სანკციაც უნდა უნდოდეს. ამ შემთხვევაში ის იძულებული იქნება კანონმდებლობასთან ერთად აღმასრულებელი ორგანო დაწესოს, ე. ი. აღად-გინოს ის ორი ფუნქცია, რომელიც შეადგენს თვით არსებას სახელმწიფოისას. მაშასადამე მწარ-მოებელთ შესანახავად ექნებათ კოლექტივისტურ საზოგადოებაში:

1) საკანონმდებლო ორგანო ყველა მისი ატ-
 რიბუტებით, 2) აღმასრულებელი ორგანო მთელი
 მისი ბიუროკრატია არმიით, რომელიც არავითარ
 პირდაპირ წარმოებით როლს არ ასრულებს. მიუ-
 მატეთ ამას ისიც, რომ მწარმოებელი იძულებული
 იქნება შევქმნას ცოტა ზედ-მეტ ნორმაზე მეტი
 მომზადეთა დასაჯილდოვებრივ და ცხადი იქნება,
 რომ მწარმოებელი ვერ მიიღებს თავის შრომის
 მთელ ნაყოფს, ე. ი. მას შრომისამებრ ვერ მიენი-
 ჭება, რადგან მისი შრომა ცოტად თუ ბევრად კი-
 დევ ექსპლოატაციის ქვეშ იქნება. საზოგადოება
 კიდევ დაყოფილი იქნება ორ ნაწილად: ერთ მხა-
 რეზე მწარმოებელნი,—მეორე მხარეზე არა მწარ-
 მოებელნი, რომელთა მისსამაც ვითომდა წარმოების
 და ურთიერთობის მოწესრიგება და ორგანიზაცია
 იქნება. ამგვარი სისტემა ან არ სპობს ანტაგონიზმს
 სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთა შორის, ან თუ
 სპობს,—მხოლოდ იმისთვის, რომ ხელისხმა გზა
 გაუხსნას ახალ ფორმის კასტების აღმოცენებას და
 მათ შორის ანტაგონიზმის გაჩაღებას. ყოველი ან-
 ტაგონიზმი, ყოველ არა-მწარმოებელ ჯგუფთა არ-
 სებობა საზოგადოებაში მიზეზია მწარმოებელ ენე-
 რგის უნაყოფო ხირჯვასა და ექსპლოატაციისა.
 ყველა ამისათვის ჩვენ კოლექტივიზმს უარ-კუოფთ.“
 (პროგ. მეორე პროექტი გვ. 67—70.)

ჩვენ განვებ შევჩერდით ამ საგანზე. „სოცია-
 ლისტურ სახელმწიფოს“ დამცველთა ხვედრი კო-

ლეკტივიზმია და კოლექტივიზმის საეჭვო სოცია-
ლიზმი მშვენივრად დაგვისურათა პროგრამის მეო-
რე პროექტის ავტორმა. ამის გამო შეიძლება გვი-
სიყველუროს პირველ პროექტის შემდგენელმა.
ცენტრალიზმს მწამებთ, მე კი ფედერალისტი ვიჩ.
აი თუნდ წაიკითხეთ, რა სწერია ჩემ პროექტის
47 გვერდზეო: „უმცირსი სოციალური წრე იქ-
ნება კომუნა (სოფელი ანუ ქალაქი), უდიდესი სა-
ხელმწიფო. თითოეული სოციალური წრე ავტო-
ნომიურად იმოქმედებს იმ სამეცნიერო საქმეების
ასასრულებლად, რომელიც თვით ამ სოციალურ
წრის (კომუნის) წევრთა შრომით გაკეთდება ამ
წრისავე წევრების საჭიროებათა დასაკმაყოფილებ-
ლად და არა იმის გარეშე გასატანად. ერთია და
იმავე რიგის სოციალური წრეები ანუ კომუნები
შეადგენენ ფედერაციას, რათა შეერთებულის ძალ-
ლონით დაიკმაყოფილონ ისეთი საერთო საჭიროე-
ბანი, რომელსაც კერძო თვითოეული სოციალური
წრე (კომუნა) ვერ გაუძლვება. უფართოვესი და
ამიტომ უძლიერესი ფედერაცია, უკეთ რომ ესთქვათ,
კონფედერაცია, იქნება სახელმწიფო, რომელიც ამა-
ვე დროს ასრულებს შრომის უმაღლესს რეგულია-
ტორის ფუნქციას“.—პო, აქ ფედერაციაზე და
კონფედერაციაზე ლაპარაკი. ხოლო ეს კონფედე-
რაცია სახელმწიფოებრივია, განსაკუთრებულ იძუ-
ლებითი ხასიათის ორგანოებით შეიძლებული,
რათა ამ ორგანოების მეოხედით შრომის იძულები-

տո հեղշլուարունուս դժոնքը օսմանյան ասկուլուն. ամցարու ռարգանոնիապու զբա ասպարագ կոլայքիունիմուն ցիս, հաջոան մաս արագուրո պէտք և այս և այս տապատառ գալ քազմուրեմուն տապատառ գուգուրապուստան, արագուրո պէտք և այս և այս տապատառ կոմպոնինմուն. զարդա ամուս, ու և անելմիուգու տվյան տապատառ սուստալուր լինց հարցուն զարդայմնուն սամուրեցուն ուստարուն արուն, ամ թյամտեցուանու ապուլայեծլուզ լինդա ալուստան ամ և անելմիուգուց մարտոնինմուն ելունու հացգունուն սակորուցուն սուստալուր ձարւուստատան. տվյան գրութաչյ լինդա լաուցրուս մալա-սուգունուն գազպարունա (захватъ государстvennoй власти) და գոյութարուն. մարտունու տվյան ձրոցը մարտուն ար ամենամաս մացա, մացրամ ամ թյամտեցուանու լուսուր թյուգուն մաս և սիալունարտ. „գոյութարունուս“ տյուրուս ձարաց և „մալա-սուգունուն գազպարունուն“ տյուրուս, եռլու մալա-սուգունուն գազպարունուն անհաւ սանելմիուգուցուն սուստալուն. սամուն մարտուն յուրու յուրամանցուստացան զամումգունարցուն լուսուրալ დա տվյան ելուն ար արուն օմուստան ուստարու, հոմլուտաւ թյունցուն ամ լուսուր քազմուրուս զարցուցուն. եռլու թյունց յնարցուն ու ար գոյութարունուս անհաւ, տապատառ ձրուն ձրուն պատուն ելուն լինդա ալուստան. ձրույքիուս մարտու ձրոցը մարտունուն ազրուն յս զարցաւ պէտք թյունցուն լուսուր დա ամուրամաւ արուն, հոմ ամենուն: մարտուն կլասուս լայցալու ար թյունցուն ոյս գոյութարուն դա ձարտոնուն ու անունուն ու անունուն ու անունուն:

ცული მიზანი კლასთა მოსპობაა და არა ერთი კლასის მეორეზე გაბატონება „... გარდა ამისა მუშათა კლასის იდეალი ის შეიძლება იყოს პირადობის დაჩივრის რეჟიმი, რადგან თვით ეს კლასი კონცერაციაა პირადობის თავისუფლებისათვის მებრძოლ ინტივიდთა, რომელსაც პირადობის სრული თავისუფლების დამყარება აქვს სახეში — ადამიანის ადამიანისა და სახელმწიფოს მიერ ექსპლოატაციის მოსპობით. კლასთა ბრძოლა კოლექტიური განხორციელებაა ინდივიდუალობისათვის ბრძოლისა. (ნორბა ზა ინდივიდუალუნიტე).“ (გვ. 27.).

ამრიგად ჩვენ გადავსინჯეთ იმგვარი სოციალისტური სისტემა, რომელსაც აღიარებენ სახელმწიფოს მოტრფიიალენი სოციალისტები; ვნახეთ თუ რა ხითათი მოელის სოციალიზმის პრინციპებს, როდესაც სახელმწიფო კისრულობს მათ განხორციელებას, სულერთია ფედერატიული სახელმწიფოა იგი, თუ ცენტრალისტური. ესლა ჩვენი მთვალეობაა იმის შესახებ ჩამოვადგოთ ლაპარაკი, თუ რანაირად შეიძლება შრომის ორგანიზაცია სახელმწიფოს გარედ და მის ორგანოების დამოუკიდებლად.

IV.

შრომის ორგანიზაციის ესკიზი.

„ინტერნაციონალის“ დამაარსებელთა აზრით

მომავალი საზოგადოება ვეტონომის და ფედერა-
 ცის საფუძველზე დამყარდება. ამ საზოგადოების
 ნიშანად თვით „ინტერნაციონალის“ ორგანიზა-
 ცია უნდა გამხდარიყო. ამიტომ იყო, რომ „ინ-
 ტერნაციონალის“ ფედერალისტები გალაშქრებუ-
 ლი იყვნენ ცენტრალისტების წინააღმდეგ, რომე-
 ლნიც ძირს უთხრიდნენ ვეტონომის პრინციპს
 „ინტერნაციონალის“ ორგანიზაციაში. იურის ფე-
 დერაციის მოწოდებაში ვკითხულობთ: „მომავალი
 საზოგადოება „ინტერნაციონალის“ ორგანიზაციის
 მთელს მსოფლიოში განხორციელება იქნება. ამი-
 ტომ ყოველი ლონე უნდა ვიღონოთ, რათა ეს ორ-
 განიზაცია ჩვენს იდეალს მივუახლოვთ. განა შეი-
 ძლება, რომ თავისუფალი და სწორუფლებიანი სა-
 ზოგადოება ვეტორიტარულ ორგანიზაციიდგან
 წარმოსდგეს? არა, შეუძლებელია. ინტერნაციონა-
 ლი, — მომავალ საზოგადოების ჩამონასახი ეხლავე
 უნდა იყოს უტყუარი გამოსახულება თავისუფლე-
 ბის და ფედერაციის პრინციპებისა. მან უნდა უარ-
 ჰყოს ყოველი პრინციპი, რომელიც ძალა-უფლო-
 ბისა და დიკტატურისაკენ გვიშოდებს *).“ „ინტერ-
 ნაციონალის“ მიერ აღნიშნული პრინციპები ნამდ-
 ვილი პრინციპებია. მაგრამ „ინტერნაციონალის“
 ორგანიზაციის ერთი ნაკლი ჰქონდა. ზოგიერთ სე-
 კციაში მწარმოებელნი ან სულ არ შედიოდნენ და

*) Биографія Бакуніна. Д. Гільома. Былое
 № 8 ст. 248.

თუ შედიოდნენ მათ მეორე ხარისხოვანი დფგილი ეჭირათ. „ინტერნაციონალი“ ნამდვილი ხასიათის მწარმოებელთა ორგანიზაცია არ იყო. მის წევრებად არა მუშებიც იყვნენ და ეს იყო, ჩვენის აზრით, სუსტი მხარე „ინტერნაციონალისა“ და მიზეზი ამ ორგანიზაციის დაშლისა.

თანამედროვე სინდიკალიზმი, რომელიც „ინტერნაციონალის“ თეორიულ ანდერძს პრაკტიკულად ანხორციელებს, დღეს უფრო მკვიდრ ნადაგზე დამყარდა. მან თავისი ორგანიზაცია მწარმოებელთა კავშირებზე ააგო. „თანამედროვე მუშათა ბირები, ფედერაციები და ორგანიზაციები, კიოთხულობთ პროგრამის მეორე პროექტში, შეიცავენ წარმოების და მოხმარების კველა ელემენტებს და ამისათვის როგორც წარმოების, ისე ნაწარმოების მოხმარება მათი საქმე უნდა გახდეს; დღეს ისინი მომავალ საზოგადოების ჩანასახს წარმოადგენენ — ხვალ ისინი გახდებიან მთელ საზოგადოებადო.“ (გვ. 101.). ეს მოსაზრება განუხორციელებელ უტოპიად არ მოგვეჩენება, რომ ჩაუკვირდეთ იმას თუ როგორ გამოიყენა სინდიკალიზმა „ინტერნაციონალის“ გაკვეთილი და როგორი ორგანოები კშობა, რათა თეორიულ იდეალს პრაქტიკული ხორციელებებისა მიეცა.

აღსანიშნავია თავდაპირველად მთავარი აზრი, რაზედაც დამყარებულია სინდიკალიზმი. იგი მწარმოებელთა კავშირია. მასვე სურს გახდეს ნაწარმო-



ების მომხმარებლად. ამიტომ იგი შრომის მოწეს-
რიგების საქმეს თვითონვე კისრულობს და მაშა-
სადამე უარპყოფს ყოველივე დაწესებულებას, რო-
მელსაც წარმოების შექმნა არ აქვს საფუძვლად.
ვინც არ ივიწყებს სინდიკალიზმის ამ მხარეს, ის
აღარ იტყვის იმას, ვითომ სინდიკალიზმი პარლამენტის
წინააღმდეგ კი არ მოქმედობს, არამედ მარტო-
ოდენ პარლამენტის გარედ. რა თქმა უნდა, მისი
მოქმედება პარლამენტის გარედ სწარმოებს, ხოლო
ეს იმიტომ, რომ პარლამენტის არსებობას ნიდა-
გი გამოუთხაროს. რა ნაირად და რა საშუალებით?

მწარმოებელთა კავშირების ფედერაციები შრო-
მის ბირჟებშია გაერთიანებული. შრომის ბირჟებიც
ერთმანეთს უკავშირდებიან და ადგენენ შრომის
ბირჟათა კონფედერაციას. ფრიად საყურადღებოა,
თუ რა გვიან მუშაობას ეწევა შრომის ბირჟა და რა
ხასიათის ორგანოები აქვს მას შექმნილი მუშების საკი-
როებათა დასკმაყოფილებლად და შრომის მოსაწერი-
გებლად. საზოგადოთ რომ გადავავლოთ თვალი შრო-
მის ბირჟათა მოქმედებას, დავინახავთ, რომ ამ ბირჟათა
მოქმედება ფრიად რთული და მრავალფეროვანია.
ბირჟებს აქვთ დაწესებული ურთიერთ დამხმარე-
ბელი ორგანოები, ეხმარებიან უმუშევართა ადგი-
ლების მონახვით, მატერიალურ დახმარებით, აწეს-
რიგებენ ეგრედ წოდებულს viaticum-ს (ვაატიკუმ) —
იკვლევენ, რომელ მხარეშია სამუშაო და იქითკვნ
გზავნიან უმუშევართ თავიანთ ხარჯით. ბირჟებს სწავ-



ლა განათლების საქმე აქვთ მოწყობილი. ამ საქმეს ხელს უწყობს ბიბლიოთეკების, პროფესიონალურ და საზოგადო განათლების კურსების დაარსება. ამგვარივე საქმეს ემსახურება სოციალური მუზეუ- მების გახსნა. ბირეებს მოწყობილი აქვთ პროპა- განდის საქმე. პროპაგანდის სექციის ეკონო- მიურ და სტატისტიკურ ცოდნის გავრცე- ლებას აქვს მიპყრობილი ყურადღება. გარ- და ამისა, ბირეები ბრძოლისა და წინააღ- მდევობის გაწევისათვის საშუალებებს აწესრიგე- ბენ. ამზადებენ გაფიცვებს, იდევნებენ თვალყურს კანონმდებელთა მოქმედებას და მათ წინააღმდეგ აგიტაციას ეწევიან და სხვა. ხოლო ყველა ამას- თან არ უნდა გვავიწყდებოდეს ერთი რამ: შრომის ბირეები უმუშევართა აღვილების საშოვნელიად და- წესებული ბიუროები არ არის, არც მარტოდენ იარაღია კაპიტალის წინააღმდეგ საბრძოლველიად. მათ უფრო დიდი საქმე აქვთ გასაკეთებელი. ისა- ნი ჭრისას მომავალ საზოგადოების სხალ ფორ- მებს. ყოველივე ეს უტყუარი კეშმარიტება რომ გახდეს ჩვენთვის, ზედ მიწევნით. დავაკვირდეთ სინდიკატების და მათ ფედერაციების, შრომის ბი- რეების ორგანოების დამოქმედო გეგმების ხასიათს.

ბირეების ცდა მიმართულია იმაზე, რომ თავის მონოპოლიად გახადოს ყოველივე ის, რაც კი ხელს უწყობს მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებ- ლად. ჩვენ აქ აღარ განვიმეორებთ სინდიკალიზ-

მის შესახებ, რაც უკვე ბევრჯელ თქმულა, სხვათა შორის „ძველ და ახალშიაც“. სახელ-დობრ, რომ სინდიკატები ორ მიზანს ემსახურებიან—ერთი არის საბოლოვო განთავისუფლება მუშათა კლასისა, მეორე შემსუბუქება მუშათა გაცივ-რებულ მდგომარეობისა. აღარ ვიტყვით იმას, რომ ორსავე მიზანს ერთის საშუალების, ერთის სარევოლიუციო ტაქტიკის მეოხებით ანხორციელებს იგი. აქ გვინდა მივაქციოთ მკითხველის ყურადღება სანდიკალიზმის საორგანიზაციო უნარზე.

ჩვენ უკვე იღვნი შენეთ, რომ სინდიკალიზმი მუშების ხელმძღვანელობას არა კისრულობს მარტიოდენ, არამედ ცდილობს სოციალურ ცხოვრების შესწავლას, განმარტებას და ახალ საფუძველზე აგებას. საყურადღებოა, მაგალითად, სტატისტიკური ბიურო ბიუროების მოქმედება. სტატისტიკური ბიურო იკვლევს, სად და რა იდგილს ესაჭიროება მუშა ხელი, სად რა ფასს აძლევენ მუშის, სად უფრო მოახერხებს მუშა-კაცი თავის ხელობის და ნიკის და-გვარიად მუშაობის შოვნას. ბიურო ჰქმნის შრომის ბაზარს. რა თქმა უნდა, შრომის ბაზარი ვერ მოსპობს იმ უბედურებას, რომელიც თან სდევს ეკონომიკურ კრიზისებს, როდესაც დიდ-ძალი მუშა უადგილოდ და ულუკმა-პუროდ რჩება. ამ გვარ კრიზისების შედეგებს თავიდამ აიცილებს ძირითადი გარდაქმნა საზოგადოებრივი ცხოვრებისა. ამ რიგად სტატისტიკურ ბაუროებს სწადეათ მხოლოდ



შემსუბუქება მაშერალთა და უბედურთა მძიმე ტვი-
რთისა. საყურადღებოა აგრეთვე შრომის მუზეუ-
მების დაარსება. იმ მუზეუმებში მუშის თვალ-წინ
იშლება მთელი ისტორია იმ პროდუქტების შემუ-
შავების პროცესისა, რომელიც ცხოვრებისთვის და
მის გამშვენიერებისთვის არის საჭირო. აქ ირკვე-
ვა, თუ რა ფასი აქვს დაუმუშავებელ მასალას იქ,
სადაც მას აწარმოებენ, რა ფასი ეძლევა ამავე მა-
სალის ქარხანაში გადმოტანის დროს, რა ჯდება
გადმოზიდვა—ე. ო. იკვლევა, რამდენი იხარჯება
ბაებსა, ტარიფებსა და შუამავლებში, რამდენი ჯდე-
ბა მუშების საკვები, სადგომი, რამდენი და სად
ასალებს ფაბრიკანტი დამუშავებულ საქონელს, რა
უჯდება მყიდვებს პროდუქტი, რომელსაც იწვდის
ფაბრიკანტი და სხვა. ყველა ამას რომ გაითვალის-
წინებენ მუშები, მათ ეცოდინებათ „საიდამ მოდის
მატერია, რომელიც მათ ხელში უჭირავთ, სად, რა
ქვეყნებში ამუშავებენ მას, რა ფასებში უუდულო-
ბენ, რამდენი მუშაა საჭირო მის დასამუშავებლად,
რა ქირას იღებენ, რამდენს ხარჯავენ ცხოვრებისა-
თვის, დღეში რამდენ საათს მუშაობენ და წე-
ლიწადში რამდენ დღეს; რა ფასებში ნაღდათ იყი-
დება საქონელი, და რა ფასით წვრილ-წვრილად
ისაღება. რამდენი მაშინა არის საჭირო და რა თვი-
სების და ნაყოფიერების მაშინებია, საქონელს რომ
ამზადებენ. ყველი ეს რომ წარუდგება თვალ-წინ
მუშა კაცს, იგი დაინახავს მუშის და კაპიტალის-

ტის, მწარმოებელის და მომხმარებელის მდგომარეობას.... წარმოიდგინეთ ახლა, რომ ამგვარივე მონოგრაფია არის მომზადებული ყოველ წარმოების დარგისათვის, რასაც კი ამუშავებს კაცობრიობა. გამოკვლეულია ურალის მდაროების, ვესტფალის და გარდის ნახშირის წარმოება... ცნობებია ბოგემიის ბრძოლის და პენსილვანიის შუშის შესახებ, აფრეთვე ინდოეთის ანდამანტის და გობელენის ნაქარგ ხალიჩეულობის შესახებ... ერთის სიტყვით, ცნობაში მოყვანილია, ყოველივე ის, რასაც ერთის მხრივ თავმომწონე და ძუნწ აღამიანს სიხარულს, არტისტიულ კმაყოფილების და სიამაყის გრძნობას უბადას, მეორეს მხრივ, რაც ჰბადას ამოდენი სილატაკეს, მოთმინებით ატანილ ტანჯვას და გულში ჩაკლულ მწუხარებას“!...*).

1896 წ. ქალაქ ტურში შრომის ბირჟების მე-V კონგრესზე, სხვათა შორის, წამოყენებული იყო კითხვა, თუ რა მნიშვნელობა ექნებათ შრომის ბირჟებს მომავალ საზოგადოებაში? (Du rôle des Bourses du Travail dans la société future). ამ კითხვის განსამარტივად ნიმის (Nîmes) ბირჟის წარმომადგენელნი გამოვიდნენ. „რა ხასიათის მოქმედებას კისრულობს ბირჟა, კითხულობენ ისინი? უწინარეს ყოვლისა, მან ყოველ წამს უნდა იცოდეს ყველა ხელობის შესახებ ნამდვილი ცნობები:

*) Histoire des Bourses du Travail par F. Pellon-tier pg. 114.

რამდენი კაცია უსაქმოდ, რა მიზეზების წყალობით
შრომის და მუშათა ცხოვრების ყოველ-დღიურ
პირობებში რაღაც აწეწ-დაწეწა ეპარება ხოლმე?
გარდა იმისა სტატისტიკის წყალობით გამორკვეუ-
ლი უნდა იყოს, რა ჯდება ნამდვილად ერთი ადა-
მიანის შენახვა და რა ქირას იღებს ივი, რა და რა
ხელობის მუშა და მწარმოებელთა რაოდენობა უნ-
დება თვითოულ დარგს, რამდენს საქონელს ამზა-
დებენ ქარხანაში, ან სასოფლო მეურნეობაში. სა-
კირო გამოკვლევა ჯამი იმ პროცესქტებისა, რო-
მელიც ესაჭიროება ხალხს საცხოვრებლად და სა-
კვებად მთელ იმ მხარეში, სადამდინაც სწვდება
შრომის ბირების მოქმედება*. *) წარმოიდგინეთ
ახლა, რომ მოხდა სოციალური რეფოლიუცია. რა
პოზიციის დიიქტრს შრომის ბირეა? ნიმის ხსენებულ
წარმომადგენელთა ანგარიშში ვკითხულობთ: „თეო-
თეულ ხელობას თვისი ორგანიზაცია აქვს—სინ-
დიკატი. თვითოული სინდიკატი ირჩევს საბჭოს,
რომელსაც სახელიად შრომის პროფესიონალური
საბჭო ერქმევა. სინდიკატები ფედერაციებათ არიან
დაკავშირებულნი ხელობის მიხედვით, როგორც
ეროვნულად ისე ინტერნაციონალურად. საკუთრე-
ბა კერძო აღარ არის. მიწა, მაღნეულობა, ქარხნე-
ბი, სახელოსნოები, რეინის გზები (გადატან-გადაზი-
დების საშუალებისი), სახლები ყოველივე ეს საზო-

*) Ibid. გვ. 161.

გადოებრივ საკუთრებად შეიქმნა... საზოგადოებას
 ესაჭიროება განსაზღვრული რაოდენობა პურისა და
 ტანთსაცმელისა... შრომის ბირებმა იციან, რამდე-
 ნი ქარხნების მიერ დამზადებული საქონელია საჭი-
 რო.?! აცნობებენ თვითეულ ხელობის შრომის პრო-
 ფესიონალურ საბჭოს, რომელიც თავის პროფეს-
 სიის ყოველ წევრებს ამუშავებს საჭირო პროდუქ-
 ტების შესაქმნელად... სტატისტიკის წყალობით,
 ბირებმა იციან, განსაზღვრულ მხარეს, რა გვარი
 საქონელი ზედ-მეტად მუშავდება და რა გვარი
 ნაკლებად. მათის გადაწყვეტილებით მოხდება გაც-
 ვლა-გამოცვლა ერთმანეთში იმ პროდუქტებისა,
 რომელსაც განსაკუთრებულად კარგათ აწარმოებენ
 ამა და ამ მხარეს...“ *) ამავე საგნის შესახებ შრო-
 მის ბირებთა ფედერატიული კომიტეტი ხსნებულ
 კონგრესზე ამ ნაირად სჯიდა: „სოციალურ რე-
 ვოლიუიის მიზანია მოსპობა გაცვლა-გამოცვლის
 ღირებულობისა (la valeur d'échange), რო-
 მელსაც ჰქმნის კაპიტალი. ჩვენ იმ პრინცი-
 პიდან გამოვდივართ, რომ რევოლიუციამ მარ-
 ტო მთართველობისაგან (autorité) კი არ უნდა
 იხსნას ხალხი, არამედ ყველა იმ დაწესებულებე
 ბისაგანაც, რომელთა არსებობა წარმოების საჭი-
 როებით არ არის გამოწვეული. მაშისადამე ჩვენი
 მომავალი საზოგადოება არის „მწარმოებელთა თა-
 ვისუფალი კავშირები“. რა გვარ მუშაობას ასრუ

*) Ibid. გვ. 162.

ლებენ ეგ კავშირები?... „თვითოულ კავშირს წარმოების ერთი დარგი აბარია“... კავშირის ორგანოსინდიკატი ან სინდიკატთა კავშირი, შრომის ბირჟა იკვლევს, „რამდენი მატერიალი მეზობლებს უნდა ეთხოვოს? როგორ უნდა განაწილდეს შრომა? როგორ უნდა დაარსდეს საზოგადო საწყობი? რა ნაირად უნდა გამოიყენონ მეცნიერების მიერ გამოქვეყნებული რამე ახალი გამოგონება?... მუშათა კავშირებს შეგნებული აქვთ დამოკიდებულება წარმოებისა და მოხმარების შორის არსებული, ამიტომ ისინი ნაყოფიერად იყენებენ და ხმარობენ თავიანთ წევრების მიერ მომზადებულ საქონელს. მათ გამოანგარიშებული აქვთ აგრეთვე ის, რა აკლდებათ და რა ზედმეტად აქვთ მომზადებული, ან ზედ მეტ მოკავშირე მწარმოებლებს იწვევენ თავიანთ წრეში გარედან, ან იმას, რასაც მათი მიწა არ იძლევა, სხვა მხრიდან იბარებენ... შედეგი ამ გვარ წესისა ისიქნება, რომ, მოისპობა რა უსარგებლო სოციალური ორგანიზები, ორგანიზაცია უფრო სადა გახდება და ადამიანი მეტს და უკეთესს საქონელს შექმნის და მაშასადამე მას დარჩება ბევრი დრო გონებრივ განვითარებისათვის“...

გამოწერებით თავს აღარ მოგაბეჭრებთ. პრობლემა წამოყენებულია. ნაჩვენებია ის გზა, რომელზედაც დგას მუშათა კლასის არა პოლიტიკური ორგანიზაციები, დასახულია არა მარტო ბრძოლის იარაღი, არამედ მომავალ საზოგადოების სტრუქ-

ტურა, მოწოდება-მოხმარების მომწევსრიგებელი ორ-
განოები; გამოირკვა, რომ მუშათა ორგანიზაციები
მარტოოდენ ილუზიებით არა სცოცხლობენ, მათ
აქვთ გათვალისწინებული განსაზღვრული. გეგმა
ანარქიულ-კომუნიზმის განხორციელებისათვის. ეს
გეგმა კაბინეტებში შემუშავებული სისტემა არ არის.
იგია აშენებული მწირმოებელის ყოველდღიურ გა-
მოცდილებაზე და სოციალურ ცხოვრების რეალურ
პირობებზე. ხოლო, რა თქმა უნდა, უფასუალი ეს
უტაბაურია ამათთვის, ვინც წარმოების გარედ
სდგას და ვინც პირდაპირ მონაწილეობას არ იღებს
სიმდიდრის აშენებაში. ამ ხალხისათვის სულ სხვა
რამეა რეალური პირობები და რეალური პოლი-
ტიკა. ეს ხალხი პოლიტიკური პარტიებია. ამ პო-
ლიტიკურ პარტიებშია დარაზმული ხალხის ის უმცი-
რესობა, რომელსაც ან წინად სკერია ხელში ძა-
ლა-უფლობა, ან ეხლა სწადია ამ უფლობის ხელში
ჩაგდება. პოლიტიკურ ბრძოლის ფილოსოფია ამა-
შია: მოდექ, გზა მომეც, რომ შენ ადგილის შე
დავდგე და შე ვიბატონო. სოციალ-დემოკრატიის
წყალობით მუშათა ერთი ნაწილიც არის შეპყრო-
ბილი ამ გვარ ფილოსოფიით. მუშა კლასის მოსამ-
ხრობად და მოსახიბლავად დამზადებულია. „სუვერი-
ნიტეტის“, „დიკტატურის“ და სხვა ამ გვარი თეო-
რიები; ხოლო ყველა ამ თეორიების წამოყენებაში
მუშათა კლასის ურუ იდეოლოგები არავითარ თრი-
გინალობას არ იჩენენ. იქ ყოველივეა ნახესხები —

აზრები, საშუალებები, ორგანოები, დაწესებულებები, ნასესხებია იმ სოციალურ წრიდამ, რომლის დანგრევა სწყურია პროლეტარიატს. და რა თქმა უნდა, ამ ნასესხებ და ძველ წყობილებისათვის გამოსაღებ საშუალებებს ახალ საზოგადოების ასაგებად ვერ გამოიყენებს პროლეტარიატი....

ვიცი, ვიცი, წინდაწინვე ვიცი „თქვენი“ პასუხის ხასიათი. „პარლამენტარიზმი“, „სრული დემოკრატიზაცია“, „უფლებრივი სახელმწიფო“ — როგორც ნიადაგი სოციალიზმის განვითარებისა და სხვა ამგვარი! სოციალიზმის განვითარებისათვის და განხორციელებისათვის საჭირო არის ფართო რეფორმაც, ე. ი. კანონით დაწესებული ცხოვრების ახალი ნორმებით! — რეფორმა! კანონი! განა ამ სამი წლის გამოცდილების შემდეგაც არ გამოირკვა ის აზრი, რომ კანონი მხოლოდ იმსა აკანონებს, რას წაგდეკა და დაძერობა ჩადგეს თავის მაღლანით შესწევს. თუ ეს ძალა არ არის, კანონი კანულზე დაწერილი თამასუქია, ხოლო თუ ეს ძალა არსებობს, იგი თავის არსებობისათვის კანონიერ გარანტიას არ საჭიროებს. ებ ძალაა საბუბროებით გარანტია ეგრეთ წადებული „ბოლიტიქურ-თაგისუფლობათა“ ცხოვრებაში გატარებისათვას. მაში, თავებს რაზედ ვიმტრევთ, ენერგიას რაზედ ვაქარ-წყლებთ, გაცრუებულნი, იმყდებს რაზედ ვიკლავთ და ვიმალავთ გულში?!

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია შემოწ-

ଲୁହୁଲୁହା ଜାଫାସେବୁର ଏକ୍ସପ୍ରେସ୍‌ର ଡାକ କିତକିତ ପାଇଁ
ରୁହିଲାଇ ଏହିଥିରେ ମହାପୁରି, ଏହିଥିରେ ତାହା ଏହିଥିରେ
“ଫାର୍ମ୍ସୀସ୍‌ପାଇସଙ୍ଗାନ” ଡାକ ଶେଖିଲେବେ ତାହା ଏହିଥିରେ
ରୁହିଲାଇ ମହାପୁରିରେ ବାଲକେ ମହାରମ୍ଭାବେଳତା ଉଚ୍ଚାନିନ୍ଦା-
ପ୍ରିଯବେଳି ଫାର୍ମ୍ସୀସ୍‌ପାଇସଙ୍ଗାନିରେ!!..

5 ଅକ୍ଟୋବର 1907 ର. ଧାରାନ୍ତର.



